

1199

1934

Մահմադ



№3

356080

1934 թ.

ორნატი



საპოლიტიკო პრეზული

მ ე ს ა მ ე

Ornati

Recueil politique géorgien

გადსი — ივნისი

პარიზი

1934 წ.

26 მაისი

ამ თარიღთან შეკავშირებულია საქართველოს ახალი ისტორია. ანუ უკეთ: — ახალი საქართველო აქედან აგრძელებს თავის საკუთარ გზას, გზას, რომელიც აღმოსავლეთის ონავართა ველურმა თავდასხმებმა და რუსეთის შემოჭრამ ერთი საუკუნის უკან რომ გადასჭრა.

26 მაისი ჩვენი ეროვნული აღდგომის დღესაწაულია. ამ დღის განსახებაში უმაღლესი მისწრაფება, უდიდესი ზრახვა და უძვირფასეს ღირებულებათა სამკაულებია თავმოყრილი — ეროვნული თვი-თმყოფობის, ღირსების, აღორძინების და განვითარების.

ეს დღე სხვამხრივადაც მნიშვნელოვანია. აქ მოხდა ქართული ეროვნული და საზოგადოებრივი შეგნების ძირეული შებრუნება... შებრუნება საკუთარ თავთან, საკუთარ მიწასთან, საკუთარ ნივთიერ და სულიერ ღირებულებასთან...

მოხდა უსაშინელესი ბოროტმოქმედება. რუსეთმა ხელმურჯდ ვადასჭრა ეს გზა...

აქედან იწყება წარსულ დროთა შავბნელი დღეები. განმეორდა ჩვენს ისტორიაში დღეები უცნაურად მძიმე, საშინელებათა უსაშინელებაზე მწვავედ ასატანი. ქართული სისხლი ნიადაგს აღბობს და მდინარეებს ატბორებს. ქართველის ბოლმა ჰაერს ამძიმებს და ნისლავს. ქართული სული გაუტეხელ მორკინალივით საფარს იმაგრებს.. ისაგრებს და ეს საფარი ჩვენი მომავალი ბრძოლების კლდეკარია, ჩვენი მომავალი გამარჯვების უმძლავრესი და უბასრესი მახვილი.

საქართველო გაიმარჯვებს, მან უნდა გაიმარჯვოს. ძალმომრეობას ყოველთვის ძალა და ამტანობა უპირისპირდება, თალა და ამტანობა მას ამარცხებს. და ჩვენი უჯიშო და მურტალი მტერი როცა იქნება დაინახავს: — რომ სიღიდე სიძლიერეს არ ნიშნავს; — რომ ყალბი თერთმოყვარეობა არასოდეს თავმოყვარეობად და ღირსებად არ გასაღდება; — რომ ველური ბოროტმოქმედება იშვიათად ღაუსჯელი რჩება.

ქართული მარშსიზმი და ორივნული საკითხი

„თუ მზამზარეულად გამომცებარი აზრი ვერ იპოვეს სხვა ლიტერატურაში — უფრო, რასაკვირველია, რუსულში — იმ საგანზედ, რომელსაც ხანდისხან და ძალიან იშვიათად ჩვენა დავარდნილი ცხოვრება წინ დაგვიყენებს ხოლმე, მაშინ ნახეთ იმ ზოგიერთი მწერლის ოფლის წურვა და ჭაპან-წყვეტა... რაც გაზეპირების ქარს და წალმა-უკულმად წიგნის კითხვისას ოდეს-მე მოუბუქავს, ენაზედ მოაყენებს ყოველს — გონებაში ჩარჩენილს უთავბოლო ფრაზებს და მწერალიც მოაყოლებს რახუნსა. დაირად ხმარობს საკუთარ გოგრას, ედარუნებად კიდევ იმისთანა სიტყვებს: „ეკონომიური თანასწორობაო, კულტი, მისტიკა“ და სხვა ამის მსგავს შიგნითტიკურს ფრაზებსა... არახუნებს და იმას კი არ ფიქრობს. რომ იმას გულის ფრიალის წამალს სთხოვენ და ის კი ტვინიანთხეულსაუთ იძახის: მწერულვალის წამალი წყალიაო. ბატონებო, ეგ ხომ ჩაინავ ვიკრა, გულის ფრიალის წამალი გვინდა, გულის ფრიალის!“

რად ჭავჭავაძე

წარმოდგენილი საკითხის აკადემიურად გარჩევა ჩვეულ მაზნად არ დაგვისახავს; აღნიშნული საგანი დღესაც უარესად მწევავა და მასთან დამკიდებულების კითხვა ფრიად მნიშვნელოვანი ქართველი ერის ცხოვრების ისტორიული პერსპექტივის საზრისით; ამიტომ ეს საკითხი ცოცხალია და თუ მას დღვევანდელობის თვალსაზრისით არა, ისტორიულ რეტროსპექტივაში პოლიტიკური მიღვომით ვშინჯავთ და ამ მცირე ნარკვევაში ხანდახან დაშვებული სიღირჩე ამით აისხება. წერილის სიგრძეში მრავალმოუბრობის სიყვარულს ბრალი არ მიუძოვის: თვით საკითხი იმზომად ფართო და ღრმაა, რომ ვშიშობთ, იგი ამოუწურავი რა დაგვრჩეს.

ქართულ ეროვნულ საკითხს ცოტა შორიდან უნდა შევუძგეთ, ვინაიდან მას ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების გზაზე თავისი საკუთარი თავებადასავალი აბადია.

არ შეგვიძლია თავი შევიკავოთ და მკითხველს არ მოვახსენოთ, რომ პირდაპირ განსაცვიფრებელია ის ზერელობა, ფუქსავატობა და ქარაბეშუტობა, უდარდელობაც, რომელიც ეროვნულ საკითხისადმი მიღვომაში ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მემარცხენე ნაწილის აზროვნებას დაღად აკრაგს.

საქართველოსათვის ყოვნა-არ-ყოფნის საკითხი იდგა და მას უგონოდ აჭრელებული თეორიებით უმასპინძლდებოდენ და სოციალიზმის დამყარების იმედით ბედნიერებას უქადდენ!

ილია ჭავჭავაძემ საკითხი ეროვნულ სიბრტყეზე წარმოადგინა და ჩვენი თავი ჩვენ გვეყუდნესო, — ეროვნულ იდეალად გამოჰკვეთა, ხოლო სამოქმედო პროგრამად გამოცხადებულ იქმნა დღიური სიცხადის ნაკარნახევი რეალი პოლიტიკა ქართული ეროვნული მეობის დაცვის საჭიროების შესახებ. და ყველაფერი ის, რასაც ჭავჭავაძედდენ და აკეთებდენ, — ნახელმძღვანელები იყო ეროვნული იდეალის მიერ და მისი განხორციელების მიზნით. ასეთი სალი და ეროვნული ონტერესებისათვის მიზანშეწონილი ღვაწლით დამაშვრალი მოდიოდა ილია ჭავჭავაძე და მისი რაზმი.

რაღაც ფიქრობდა ქართველი ინტელიგენციის მემარცხენე ფრთა? რა სევდა უვსებდა მას გულს და რა კაეშანი სტანჯავდა მის სულს? რა მიზანით და იმედით მოვიდა იგი ჩვენს ცხოვრებაში? რას აპირებდა და რას შერებოდა იგი?

ილია ჭავჭავაძის სრულიად გარკვეულ ეროვნულ პოლიტიკასა და ტაკტიკას, მესამოცე წლებიდანვე სრულიადვე საწინააღმდეგო პოლიტიკა და ტაკტიკა დაუპირისპირდა. ჯერ კიდევ 1865 წელს, ჩვენში მეტად კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწე და დიდათ ნიჭიერი მწვრალი ნიკო ნიკოლაძე, ქართული ეროვნული საკითხის შესახებ შემდეგსა სწერდა:

„ქართველი ხალხი ყოველ დღე უფრო და უფრო იმსჭვალება თავის ნაციონალური დამოუკიდებლობის იდეიით“...

უნდა გვეფიქრა, ნიკო ნიკოლაძე ამ მოვლენით მეტად გახარებული იქნებოდა და მას ახალგაზრდული აღთვრთვანებით მიესალმებოდა, — მაგრამ არა! და პირიქით: — ნ. ნიკოლაძე გადაჭრით სხვა შეხედულებისა და უმაღლავად ამბობს: —

„ჩვენ გამოვსოქვამთ მხოლოდ იმ აზრს, რომ ამ იდეის განვითარე-

ბას (ნაციონალური დამოუკიდებლობის იდეის. ვ.ნ.) შეუძლია მნიშვნელოვანი და შეიძლება მეტად დიდი უბედურობა მოუტანოს ქართველი ხალხის მატერიალური და გონიერობის განვითარების საქმეს“...

ბუნებრივია საკითხის წამოჭრა: — რატომ?

რასაკვირველია, მისთვის მიუღებელია საქართველოს დამოუკიდებლობა ან ევროპიული რომელიმე სახელმწიფოს პროტექტორატი, მაგრამ რუსეთი?! — რუსეთს დიდათ დიდი უპირატესობა აქვს ევროპაზე, — იმიტომ, რომ რუსეთში არსებობს თემობრივი წყობილება (ობშინა); მიწის თემობრივი განაწილება და სახალხო შრომის თემობრივი ორგანიზაცია რუსეთს ყველაზე უფრო ადრე და იოლად სოციალიზმში გადაიყვანს, — მასთან ერთად საქართველოსაც, თუ იგი ამ თემობას შემოიღებს; ამის გამო ნ. ნიკოლაძე სწერდა:

„ჩვენის აზრით, იდეალი უკეთესი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილებისა (ესე იგი სოციალიზმი. ვ. ნ.) ყველაზე უფრო ადრე შეიძლება მიღწეულ იქნეს რუსეთში, იმიტომ, რომ ძირითადი პრინციპი ამ წყობილებისა, თემობრივობა (ობშინნოსტ) შენახულია რუსეთის ხალხში შესაძლებელი სისრულით... აი ამიტომ ვფიქრობთ ჩვენ, რომ არ იქნებოდა ცუდი საქართველოს ნაციონალური მისწრაფებანი გადაგვეგდო გვერდზე“...

..

როგორც კხედავთ, 1865 წელს, ნიკოლაძე ქართულ ეროვნულ საკითხს სოციალ-ჭრლიტიკურ და ეკონომიკურ-სოციალური თვალსაზრისით უდგება. მას აქ მოცემული აქვს მთავარი ხაზი, რომელმაც შემდეგში საქართველო გაჰკვეთა და ქართული აზროვნება სასიკვდილოდ დაპქოდა.

1873 წ. 1 აპრილს, უენევაში გამოიცა პირველი ქართული სოციალისტური გაზეთი „დროშა“, რომელმაც ეროვნულ საკითხში შემდეგი მოთხოვნილება წარმოადგინა: —

„თავისუფალი ფედერაცია ყველა კავკასიელ ხალხებისა, განწყობლთა ყველა მოქალაქეების ეკონომიკურ თანასწორობისამებრ“...

ეროვნულ-პოლიტიკური თვალსაზრისით, ამ მოთხოვნილებაში ერთი ნაბიჯია წინ გადადგმული ნ. ნიკოლაძის წერტილიდან დაშორებით. აქ ის აზრი მაინცაა გამედული, რომ ნაგულისხმევია აავასიური ფედერაცია, მაგრამ... ამ ფედერაციას ეკონომიკური თანსწორობა აუცილებელ პირობად უქმებს; ამგვარად აქაც, ისე ვით ნ. ნიკოლაძის მსოფლი მხედველობაში, ეროვნული საკითხი სოციალურ და ეკონომიკურ საკითხზეა დამოკიდებული და მასზე დაქვემდებარებული.

1874 წ. უენევაში თავი მოიყარეს ქართველმა ინტელიგენტებმა (გა-

ნურჩევლად მიმართულებისა, უფრო კი მემარცხენე ხალხმა) და მათ აღიარეს ამიერკავკასიის ფედერაციის დებულება. ივანე ჯაბაძარი თავის მოგონებაში ამ ამბავის შესახებ შემდეგსა სწერს, და რასაც სწერს, ეს მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს მისი და საერთოდ ნაროვნიკების შეხედულება შემდეგ საქართველოში გაბატონდა და ქართველი ერის ბედის ხელმძღვანელი შეიქმნა: —

„ეროვნებათა განურჩევლობის მიხედვით, რომელნიც შეადგენენ რუსეთის სახელმწიფოს, ძმური მუშაობა რუსეთის ყველა ხალხთა განსათავისუფლებელ დეპოტიზმისაგან, კაპიტალის მონობისა და ბატონობისაგან, ყველაზე უფრო აღრე მიგვიყვანს თავისუფლების გამარჯვებამდე და საუკეთესო წყობილების დამყარებამდე — კაცობრიობის ამ საბოლოო მიზნის განსახორციელებლად (სოციალიზმი!, რასაკვირველია. ვ. ნ.); რომ მისწრაფება კავკასიის გაერთიანებისა რესპუბლიკის ფორმებში, უდიდეს სოციალურ რევოლუციონურ ბრძოლას დაიყვანს ვიწრო ნაციონალისტურ ამოცანამდე, რომელიც გამოიწვევს საშიშ ანტაგონიზმს, ერთის მხრით, რუსეთის ხალხსა და მეორე მხრით, კავკასიის ერებს „შორის; აგრეთვე გამოიწვევს გამწვავებას თვით კავკასიის ხალხებს შორისაც, რომელნიც არათანაბარ ეროვნებებს წარმოადგენენ. ... ყველა ამ მოსაზრებების გამო კონგრესის უმცირესობამ გამოთქვა აზრი კავკასიის ინტელიგენციის სრულიად რუსეთის სოციალ რევოლუციონურ ორგანიზაციებთან შეერთების სასარგებლოდ — პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლების მოპოვების მიზნით, განურჩევლად რუსეთის სახელმწიფოს ყველა ერებისა, რუსეთის საერთო რევოლუციონურ დროშის ქვეშ“...

აშკარაა, სოციალიზმის დამყარებით, ნაროვნიკების საწადელი იყო ქართველი ერის გაბედნიერება; მათ გულწრფელობაში ეჭვი არ გვეპარება, ხოლო თუ რაოდნენ უსუსური იყო ასეთი ოცნება — ეს ხომ განვლილმა ხანამ გვჩივენა!

თავი დავანებოთ იმას, მე-70წლებში რამდენად შესაძლებელი იყო კაპიტალის ბატონობისა და მონობის შესახებ ლაპარაკი, — ეს ქარით მოტანილი ამბავია! მაგრამ აქაც იგივე დებულებაა, რაც ნ. ნიკოლაძემ და „დროშა“ შექმნა. ანუ დებულება, რომლის მიხედვით, პირველ რიგში უნდა იდგეს ეკონომიკური, სოციალური და სხ. საკითხი.

სოციალიზმის დაარსებისათვის საჭირო იყო რუსეთის თვითმშერებელობის დამხობა: ამისათვის აუცილებელი — რუსეთის ხალხთან ერთად ბრძოლა საერთო სოციალ-რევოლუციური დროშის ქვეშ! ამიტომ ქართული ან კავკასიური ეროვნული საკითხის ბრძოლის დღიური წესრიგიდან მოხსნა!

ასეთია გზა და ხიდი, რომელზეც დაიწყო სლვა ქართველშიც „შეუძლებელი“ მარცხნენ“ ინტელიგენციამ და ამ ხიდზე შემდგარი ქართველი ხალხი მის ჩატყდომას თან გადაჰყა...“

ამიტომ, ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ, როდესაც იგი ეროვნული ვინაობის დაცვისათვის ყველა ქართველის ერთ პოზიციაზე დადგომას მოითხოვდა, ანუ ეხლანდელი ენით რომ ესთქვათ, ინტეგრალურ ნაციონალიზმს (ჰქადაგებდა*), „მემარცხენენი“ მას ეომებოდენ და თავზე ქოქოლას აყრიდენ. მაგ. გაზეთი „იმედი“-ს თანამშრომელი ტატა ლი ილიას შემდეგ პასუხს აძლევდა: —

„ვინ არ იტყვის, რომ ამისთანა შეხედულება საგანზე პატრიოტობა კი არა... ცრუპატრიოტობაა. ეს პბაცებს სრულებით საზარალო გრძნობებს, რომლების გამოც მოკეთობის მავიერ ხალხთა შორის უსაფუძვლო მტრობა იზრდება და მატულობს... ტყუილად კი არ არის ნათქვამი — ერთი ჭკუა ჭკუა არისო და ორი უკეთესიაო. აქედან რამდენი ჭკუა შეერთდება ერთად, ბევრი ხელი და ფეხი, ზურგი და წელი მიეცემა ერთ საყოველთაო შრომას, რაც დიდათ ეყვარება ყველას ერთმანეთი,

*) „ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ღალადებს და მაშასადამე ჩვენებური ლიბერალობა სულ სხვა რაზედმე უნდა მიიქცეს მთელის თავის ძალონითა... ის „სხვა ამე“ იყო ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველს მოსალოდნელს ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდან არ აგვცდებია, ყველასათვის ცხადზედ (ქადია... ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, სანამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი ამაზედ უმიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შეილს. ყველამ, ვისაც კი შეუძლია ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს. ყოველივე საქმე, ყოველი საგანი, რაც ჩვენი ცხოვრების მიმაღლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყველაფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შეცურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ. სკოლაა, ბანკია, თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისკენ უნდა ვუბრუნოთ თავი“...

„თვითეული ჩენგანი, გლეხია, თაგარტი, აზნაური, ქალი თუ კაცი — სულ ყველანი ერთად ქართველები ვართ, ჭირსა და ლხინში განუყრელი და განუშეყვეტელი“...

ილია ჭავჭავაძე

მით უფრო ბევრი საქმე გაკეთდება, მით უფრო მომეტებული ჯულუსი ძლიერდება და ბედნიერება ჩამოვარდება კაცობრიობაში. ვისაც მართლა უყვარს თავისი ხალხი, იმას იმავე სიყვარულით უნდა უყვარდეს მთელი ქვეყნიერებაც, რაღაც მისი ხალხისათვის საჭიროა ქვეყნიერების და-ხმარება და ქვეყნიერებისათვის კიდევ იმისი ხალხისა. აი ნამდეილი პატრიოტობა და მამულის სიყვარული ეს არის.“

აქ შეიძლებოდა ერთ მწარე სიტყვის თქმა, მაგრამ დავანებოთ თავი ამ პრიმიტიულად მოაზროვნე ადამიანსა და უვიცს, — სიტყვა მივცეთ რ. ურბნელს (ხიზანაშვილს), რომელიც მას გახეთი „ლროებიდან“ ბანს ეუბნებოდა: —

„ჯერ ძმობა განახორციელეთ ცხოვრებაში და მხოლოდ მაშინ გვი-ქადაგეთ სხვა და სხვა მიმართულებას თავი დაანებეთ და ერთ ულელში შეებით“—ო.

ურბნელის აზრით — „მამულიშვილობას წინ და უკან უნდა მის-დევდეს აწინდელი ევროპის პროგრესიული პროგრამის შესრულება“ — ესე იგი სოციალიზმის განხორციელება!

და გიორგი ზდანოვიჩი (გ. მაიაშვილი, ნაციმბირალი, ნაკატორლა-ლი, დიდი მოღვაწე) ოთხმოციან წლებში ილია ჭავჭავაძის თაობას უსა-კვედურებს, რომ მათ, სამოციან წლების მოღვაწეებმა, პირწმინდათ ეროვნულ ნიადაგზე ფეხი შედგეს და ხალხის ეკონომიკა დაივიწყეს და იგი თავის მხრივ განმაჟურნებელ და მაცხოვნებელ მალამოს იძლევა:

„მხოლოდ ლრმა ეკონომიური ცვლილებისათვის ბრძოლა არის გზა ნამდვილი თავისუფლებისადმი. მხოლოდ საუკეთესო ეკონომიური წეს-წყობილების (იგულისხმეთ: — სოციალიზმი! გ. ნ.) დამყარება ეროვნულ დამოუკიდებლობითურთ, რასაკვირველია, ნამდვილად გაანთავისუფ-ლებს ხალხს და მისცემს მას ჭეშმარიტ თავისუფლებას“...

ანუ უფრო გარკვევით იგივე ზდანოვიჩი 1882 წ. გაზ. „ივერია“-ში სწერდა: —

„მოძრაობის დროს პირველად ხალხის ეკონომიური ინტერესები უნდა ვიქონიოთ სახეში, და მერე სხვა ინტერესებიც, რომელთაც ხალ-ხი აგრეთვე თანაუგრძნობს, — პოლიტიკური და ნაციონალური“...

გაგვიგრძელდა სხვა და სხვა ავტორის ეროვნულ საკითხზე შეხედუ-ლებათა მკითხველისათვის გაცნობა, — დღევანდელი მკითხველისა-თვს, რომელიც განკვიფრებული, და შიძლოება შიშის გამოკიდებას გადაიწერს და იტყვის: — ეს რა უცნაურებაა, ღმერთო შეგცოდეთ! აკი ამიტომ სასტიკად დავისაჯეთ!

დღეს როცა კითხულობთ ამ ბოდვას, გაოცებული ეკითხებით თაქს: საიდან მოვიდა ეს დამთხვეულად მოაზროვნე ხალხი? სად იყო გონების


ზომა და გრძნობათა ზომიერება? სად იყო ქვეყნის სინამდვილის ცოდნა ან უბრალოდ ზერელე თვალისგადავლება საკუთარ სამშობლოს ფაზოსაც აჩებაზე, რომ ასე ყოვლად შეუწყნარებელ ქადაგებაზე უნარი და შრომა არ დაეხარჯათ!!! მაგრამ უბედურება სწორედ ის არის, რომ ამ ეროვნულ ნიღილისტებს ბურთი და მოედანი შეტანათ, — შემდეგში საქართველო დაპყრობილ იქმნა ამ უდიდეში აზრებით, — დაპყრობილ იქმნა. ამ მიზეზების გამო, რომელზე ჩვენ პირველ წერილში ვიმსჯელეთ (იხ. „ქართული მარქსიზმი“: „ორნატი“ № 2).

როგორც დავინახეთ, სოციალისტური ინტელიგენცია თავიდანვე ინტერნაციონალურ ნიადაგზე დადგა და სამოქმედო გაგმად მთელი რუსეთის ფარგლებში რევოლუციური ძალების დარაზმვის საჭიროება აღიარა; ერთ თავისუფლების საკითხი სოციალური რევოლუციის გამარჯვების საკითხს დაეკავშირა და მას დაექვემდებარა. — შემდეგში მარქსიზმი ეს დებულება თავის სამოქმედო პროგრამად გაიხადა, ხოლო ამავე მიზნით, — სოციალიზმის განხორციელებისთვის, — ბოლშევიკებმა, მარქსისტული მოძრაობის მამარცხენე ფრთამ, საქართველოს უდიდესი უბედურება თავს დაატეხეს.

ჯერ კიდევ ოთხმოციან წლებში დაიწყო ნაროდნიკული მსოფლმხედველობის რღვევა და ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაზი მარქსისტული აზრები შემოიკრა. მარქსიზმის პირველი მოქადაგენი მათი წრიდან გამოვიდენ და შეეცადენ ნაროდნიკული მსოფლმხედველობა გარქვისტულთან დაეკავშირებიათ, ხოლო მეორე მიმდინარეობა პირდაპირ მარქსისტული აზრების ქადაგებაზე გადავიდა; მესამე შემდეგშა ჯგუფდება სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სათავეში და მეოთხე ილია ჭავჭავაძესთან მიდის და მას ეკედლება.

რომ ამძრული საკითხის გამო ჩვენი ცხოვრების ეს ხანა დავასრულოთ და შემდეგ ქართულ მარქსიზმს შევეხოთ, უყურადღებოდ არ დაეტოვებთ ეროვნულ საკითხთან სოციალისტ-ფედერალისტთა დამოკიდებულებას, როგორ იგი პირველ საფეხურზე გამოიხატა. მათი ორგანო, რომელიც პარიზში იცემოდა, სრულიად გარკვევით საქართველოს დამოკიდებლობას ებრძოდა და სეპარატიზმს უარჲყოფდა. ეს ორგანო „საქართველო“ (1903 წ.) სწერდა: —

„ჩვენი სურვილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა არ არის. ნათლად და აშეარად ვამბობთ: ჩვენ პოლიტიკური სეპარატიზმის მომხრე არა ვართ. ჩვენი წადილი და მისწრაფება — განსაკუთრებულ, საქართველოს პირობებთან შესაფერი კონსტიტუციის მოპოვებაა. ჩვენ გვხურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზმის ჩარჩოებში, მხოლოდ ამასთან. შინაურ საქმეებში გვინდა ვიყვეთ სრულიად დამოუკი-

დებელი. ერთი სიტყვით, ჩვენ გვსურს ავტონომია მოვიპოვაზე არა მართვაზე, მაგრამ როგორი უნდა იყოს ეს ავტონომია? ამაზე სხვა და სხვა პასუხს იძლეოდენ, მაგრამ მათში ყველაზე საინტერესო და დამახასიათებელია ის შეხედულება, რომელიც ჩვენ 60-ან წლებში გავიცანით, და 40 წლის განმავლობაში ნაცონენი კვლავ გამომზეურებულია. სოც.ფედ. „საქართველო“-ს (№ 5) აზრით, —

„ავტონომია უნდა იყოს პოლიტიკური ფორმა ეკონომიურად გათანასწორებული ხალხისა“!

ევროპის საერთოდ სოციალისტურსა და კერძოდ მარქსისტულ თეორეტიკოსებში, ეროვნული საქითხის შესახებ ორი უმთავრესი მიმღინარეობა არსებობდა. ერთის აზრით, კაპიტალისტური წარმოების ხანაში ერთა თავისუფლება მიუღწეველია, ვინაიდან კაპიტალიზმის მიერ გამოწვეული იმპერიალიზმი არამც თუ ერების თავისუფლებაზე ფიქრობს, — პირიქით, მისი უპირველესი მიზანია ერები დაიპყროს და ისინი თავისი მტაცებლური ვნების და გამყვლეფი მადის საგნად გაიხადოს; ამას გარდა, იგივე იმპერიალიზმი თავისი ფინანსებით სუსტერებს წურბელად აჯდება და მის ეკონომიურ ცხოვრებას სწუწნის, — ამგვარად მასზე პოლიტიკურადაც ბატონობს, და ამიტომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სუვერენობაზე სინამდვილეში, ლაპარაკი ზედმეტიაო. ერთა ნამდვილი თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიური და სოციალური თანასწორობის დროს, მისაღწევია მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში; მანამ კი ერთი კვლავ დაჩაგრული იქნება, და ამის გამო, მისთვის პირველ რიგში სოციალიზმის განხორციელების საკითხი უნდა იდგესო. ასეთი იყო ევროპის სოციალისტთა რადიკალური ფრთის შეხედულება, და როგორც დავინახეთ, იგი ნაროდიკებმა და სხვებმა შეითველოშიც გადმოიტანეს.

სოციალისტურ მიმღინარეობათა მეორე ფრთა თავის შეხედულებას ეროვნული თვითგამორკვევებისა და თავისუფლების შესახებ, შემდეგ ნაირად ასაბუთებდა: — პროლეტარული სოციალიზმი არის პირველად ყოვლისა — დემოკრატიული სოციალიზმი; დემოკრატია არის სოციალიზმის ფუძე; ერთა თვითგამორკვევის უფლება არის დემოკრატიული მოთხოვნილება, ამიტომ უნდა დავიცვათ ერთა თვითგამორკვევის უფლება. კერძოდ, მარქსიზმისათვის ეროვნული საკითხი, თავდაპირველად, არც არსებობდა. მარქსიზმი უმთავრესად ემყარებოდა ეკონომიურსა და სოციალურს და აქედან გამომდინარე პოლიტიკურ დებულებებს, რომელთა ცხოვრებაში გატარება, დემოკრატიული თუ დიკტატორული გზით, კაპიტალიზმს მოსპობდა და სოციალიზმს დააფუძნებდა. ვინაი-



დან კაპიტალიზმი საერთაშორისოა, მასთან ბრძოლაც დაინტერესებული მხარის მიერ, პროლეტარიატისაგან, ამავე საერთაშორისო ფლიქინტული მხარის მიერ, პროლეტარიატისაგან, ამავე საერთაშორისო ფლიქინტული უნდა სწარმოებდეს, — აქედან დასკვნა: — „პროლეტარები, ყველა ზეუცნისა შეერთდით“! — აქედან დასკვნა: — მუშას სამშობლო არა აქვს. შემდეგში, ოდეს ეროვნულმა საკითხმა სათანადო მნიშვნელობა გინიკა, ეს დებულება მრავალნაირად შესაწორ-შემოასწორეს და ისნანა-განმარტეს, მაგრამ მას არსებითი მხარე მაინც ვერ დაუკარგეს. განსაკუთრებით ვულგარ-მარქსისტებმა, რომელთაც ქართულ მარქსიზმზე დიდი გავლენა ჰქონდათ, ეს სიტყვა (მუშას სამშობლო არა აქვს!) სალოცავ დოგმად გამოაცხადეს, და ჩვენში მას ბასრი იარაღის ხარისხი მიეცა, რომლითაც ქართულ ნაცონალიზმს დაუზოგავად ებრძოდენ. მდგომარეობა შედარებით იცვლება მას შემდეგ, რაც აესტრო-უნგრეთში მოთავსებულ ერების შორის ეროვნული საკითხი მეტად გამწვავდა და ადგილობრივი სოციალდემოკრატია იძულებული შეიქმნა ამ საკითხში ჩარეცლიყო. კარლ რენერი და ოტრო ბაუერი გახდენ ეროვნული თეორიის იდეოლოგები და ოტრო ბაუერის წიგნმა „ეროვნული საკითხი და სოციალდემოკრატია“ მთელი ხანა შექმნა სოციალისტურ მოძრაობაში. —

ჩვენში რაღა ამბავი იყო?

მეტად ძნელია უცხოეთში ქართველ მარქსისტების შეხედულებათა ისტორია დაიწეროს, ვინაიდან სრულიად არ მოიპოვება ძევლი ქართული პრესა, რომლის ფურცლებზე ამ შეხედულებათ გამოსთვამდე; ბაგრამ ჩვენ აქ ამ ისტორიას არა ვსწერთ, არამედ მარქსისტული ეროვნული პოლიტიკისა და ტაკტიკის იმ მთავარ სახელმძღვანელო დებულებებს ვეხებით, რომელსაც ჩვენში ეყრდნობოდენ.

1893 წ. ნოე ქორდანიამ გამოაქვეყნა წერილი: „ეკონომიკური წარმატება და ეროვნება“, სადაც საქართველოს ვითარება იოლად და მსუბუქადაა დაფასებული. იგი სწერდა: —

....უკანასკნელ 20-25 წ. განმავლობაში ჩვენი ცხოვრება შესაჩნევად შეიცვალა. შემდეგ ბატონ-ყმობის მოსპობისა, ფოსტა-ტელეგრაფის და რკინის გზების დამართვისა, ფეხი აიდგა მრეწველობამ და ვაჭრობამ, გაძლიერდა მიმოსვლა და ალებ-მიცემობა. ვაჭრობა შეიქმნა რევოლუციურ ძალათ ჩვენი ქვეყნისა... ახალმა ცხოვრებამ დაპირდა ახალი მოთხოვნილება, წინ წამოაყენა ვაჭრობა და ალებ-მიცემობა; გაართულა და გაამრავალფრია პირვანდელი სადა ურთიერთობა, შრომა ეკონომიკურად დაპყო ერის ნაწილთა შორის, ჩააყენა ქვეყანა მსოფლიო ალებ-მიცემობის კალაპოტში. სუკველა ამას თან მოსოდეს ხალხის ნიკარიერად გაერთიანება და საზოგადო კაცობრიობის ცხოვრებაში შესა-

ფერი ადგილის დაქვერა. ამ ამ აისტორიო გზას დაადგა ქართველი დოკუმენტების გერმანული მხარე მხოლოდ ერთი ბიჯი გადადგა ამ მხრით და მით ფეხი მოიმავრა ახალ ნიადაგზე. ამით მიეცა შეურყეველი ნიადაგი ქართველ ეროვნების. ერთ შეება საერთო ულელში, შეეჩია ერთათ ცხოვრებას, ერთათ მოღვაწეობას; მომზადდა ნიადაგი გონებრივ ერთობისა; ქართველობა ერთი ყელ-საბმელით შებორკილი, ერთი ჯაჭვით შემოჯაჭვული, ფხი-ზლდება. სალი გონებით და მახვილი თვალით იხედება “... დღეს, რასა-კვირველია, სადაც არაა, თუ როგორ გადაჭარბებითაა დახასიათებული ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების ეს ამბავი; ბ-ნი ნ. ეორ-დანია ამავეს იმეორებს 1897 წ., როცა სწერს: —

„„საქართველოს დღევანდელი განვითარება შეიცავს ორ მხარეს, ორივეს აუცილებელს და ერთმანეთთან მყიდროთ შეკავშირებულს: ნივთიერად გაერთიანება საქართველოს სხვა და სხვა კუთხის და ნივთიერად დაყოფა ქართველი ხალხის, ორივე ხდება აღებ-მიცემობის კაპიტალის წყალობით. პირველ შემხვევაში თუ ერთი ერთიანდება იდეებით ეროვნული თვით-ცნობიერების ნიადაგზე, მეორე შემთხვევაში იგივე ერთი ნაწილდება ინტერესებით ეკონომიური თვით-ცნობიერების ნიადაგზე. ყოველი ჩვენი ნაბიჯი ჩვენ მიერ წინ გადადგმული მოასწავებს ეროვნული შრომის, საწარმოვო ძალის განვითარებას — ერთის მხრით, კლასსიური განხეთქილების, სოციალური ანტაგონიზმის აღორძინებას — მეორე მხრით. ეს ორი მხარე ერთი მეორის შეილია, პირველი იწვევს მეორეს, მეორე ავითარებს პირველს. ... ჩვენი თანამედროვე ცხოვრების სარჩული ეკონომიური წარმატებაა, რამაც დაბადა ეროვნული გაერთიანება და სოციალური დანაწილება. საქართველო ერთი, განუყოფელი; საქართველო ორი სიძიდიდრე-სილარიბის მიხედვით დაყოფილი. თუ პირველ საკითხზე ვერთდებით, მეორეზე ვიყოფით. თუ შინაურ ცხოვრებაში ვიბრძეთ, გარეშე მტრის წინააღმდეგ ერთათ ვდგევართ. ეს არის არსებითი თვისება უმაღლესი განვითარების“...

ამ ამონაშერის მიხედვით რამოდენიმე დებულებაა მორთმეული: — საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობა დაწყებულა და კარგადაც განვითარებულა თურმე, ქვეყანა მსოფლიო აღებ-მიცემობის კალაპოტში ჩამდგარა; კაპიტალიზმის განვითარებას გამოუწვევია ერის გაერთიანება და გამთლიანება, — მაგრამ მასევ გამოუწვევია ერის გაყოფა ორ ნაწილად: — მდიდარი და ღარიბი საქართველო. ! მთელი ეს ამბავი უფრო მარქსისტული თეორიული ვარჯიშობაა, ვინემ ნამდვილი, რეალი დაფასება, რომელიც საქართველოს შეესაბამებოდა. მაგრამ ზემოაღნიშნული დებულებანი თავის დასკვნებს ითხოვდენ და ეს დასკვნები უკვე ცხოვრებისათვის და ტაქტიკური ბრძოლისათვის უნდა

სახელმძღვანელოდ გამხდარიყო. ოვით დებულებათა შესახებ დარბა-
 ისური ლაპარაკი დღეს უკვე შეუძლებელია, იმდენად უსაფუძველოდ მი-
 გვაჩინია იგი; ხოლო მაინც ალანიშნავია ერთი დებულება, სადაც ნათ-
 ქვამია, რომ „თუ შინაურ ცხოვრებაში ვიბრძვით გარეშე მტრის წინა-
 ალმდევ ერთათ ვდგვევართ“ -ო. ვინ არის ეს გარეშე მტრი, და როგორ
 ებრძოდა მას ნ. უორდანია, ჩვენ ეს არ ვიცით, ოლონდ მართლა გარეშე
 მტრერთან — რუსეთთან — როგორ ეროვნულ ბრძოლას აწარმოებდა
 იგი, ამას ჩვენ მაღლ დავინახავთ.

ყველამ ვიცით, რომ ქართული საკითხი და ერის საკითხი ჩვენში
 მარქსისტების მიერ აბუჩად იგდებული იყო; მათ უფრო აწუხებდათ
 „დიდი“ საკითხი, „დიდი“ საქმე: მსოფლიო და რუსეთის პროლეტარი-
 ატის ამბავი! ხოლო საქართველოს შესახებ მათ უურნალ „კვალ“ -ში
 შემდეგი რამ იქმნა დაბეჭდილი: — საქართველოს წარსული გვძულს,
 აწყო გვეზიზღება და მომავლისაგან არაფერს მოველით-ო!

ასე!

ქართველი ერისადმი დამოკიდებულებისა და ეროვნული პოლიტი-
 კისა და ტაკტიკის საკითხი რომ საესებით გარკვეული იქმნეს, ამიტომ
 ჩვენ იძულებული ვიქმნებით ნ. უორდანიას ნაწერილან მოზრდილი ამო-
 ნაწერი ამოვილოთ და მკითხველს გავაცნოთ.

1904 წელს ნოე უორდანია ეხება რა ქართველ ნაციონალულისტებს,
 მათ საწინააღმდეგოდ სოციალდემოკრატიულ პოლიტიკასა და ტაკტი-
 კას არკვევს და ასაბუთებს, რომელიც ქართველი მარქსისტების მუშაო-
 ბასა და ბრძოლას საფუძვლად ედება. იგი სწერს:: —

„სოციალდემოკრატიული აზროვნება სიტყვით და წერით გამოთქ-
 მული სწრაფათ მოეფინა მუშა ხალხს და მის სახელმძღვანელო დედააზ-
 რათ გარდაიქცა. ქართველი სოციალდემოკრატია და ქართველი მუშა
 ხალხი ერთმანეთში გაილესა და ჩამოისახა ერთი განუყოფელი სოციალ-
 დემოკრატიული მუშათა მოძრაობა. მან ხელი გაუწოდა კავკასიის სხვა
 ერთა მუშებს და ქართველ მუშათა მოძრაობა გადაიქცა კავკასიის მუშა-
 თა მოძრაობათ. და აი, კავკასიის ისტორიაში დაიწყო სრულიად ახალი ხა-
 ნა: ქართველი, სომები, რუსი და თათარი ხელიხელ ჩაკიდებული გამოვი-
 დენ პოლიტიკურ ასპარეზზე და ააფრიალეს წითელი დროშა, დროშა
 შრომის ბატონობისა და თანამეჯროვე უსამართლობის მოსპობისა. (ხა-
 ზი ყველგან ჩვენია. ვ. ნ.) წინ წამოდგა შრომის ინტერესი და მის გარშე-
 მო თავი მოიყარა სხვა და სხვა ერის პროლეტარიატმა. შრომა შეიქმნა
 შემაერთებელ დვრიტეთ ყველა დავრდომილთა და მაშვრალთა. მარქსის
 ცნობილმა მოწოდებამ — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით
 — ჩვენში ჰპოვა მძლავრი გამოხმაურება. ამით ჩვენი მუშა ჩაება არა მა-

რტო რუსეთის, არამედ მთელი ევროპის მუშათა ფერხულში. კულტურული პროლეტარიატმა შექმნა თავისი საკუთარი ორგანიზაციები და შევიდა რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიაში, როგორც ერთი მისი ავტონომიური ნაწილი. ასეთი ერთობა აუცილებლათ გამომდინარეობს იმ საერთო მიზნისაგან, რომლის განხორციელებისკენ პარტია მიიღოვის. როგორც ეს მიზანი, ისე ერთობის წესები შემუშავებულ იქნა პარტიის მეორე კონგრესზე და გადაეცა კავკასიის ორგანიზაციებს სახელმძღვანელოთ.

„რა სურს რუსეთის სოციალდემოკრატიას?... — თვითმშეყრობელობის დანგრევა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება — არის უახლოესი მიზანი პარტიისა. რა პრინციპებზე უნდა აშენდეს რუსეთის მომავალი რესპუბლიკა? ეს პრინციპები ორგვარია: ერთი ეხება მთელი იმპერიას საერთოთ და შეადგენს მიუცილებელ საფუძველს ყველა დემოკრატიული კონსტიტუციისას... ხოლო მეორე ეხება რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ წვრილ ერებს და საზღვრავს მათ თავისუფალ განვითარებას. ასეთია, პროგრამის მესამე მუხლი, რომელიც ანიჭებს განაპირა ქვენებს თვითმართველობას, მერვე მუხლი აღიარებს სამშობლო ენაზე განათლების მიღებას, სასამართლოების და სხვა დაწესებულებათა წარმოებას და სხვა. მეცხრე მუხლი კი უფლებას აძლევს თვითოულ ერს თავისი სვებედი, თავისი მომავალი თვითონვე გამოირკვიოს და გადასწყვიტოს. ასეთია ჩენი პროგრამის დემოკრატიული მოთხოვნილება. მხოლოდ ასეთ პირობებში შეეძლება პროლეტარიატს თავისუფალი განვითარება, გამძლავრება და ბურჟუაზიის სამუდამოო დაცემა. ნაციონალური რეფორმა ერთი იმ დემოკრატიულ რეფორმათავანია, რომელიც აადვილებს სოციალიზმის გამეფებას. ის მხოლოდ მთელი ამ პროცესის ერთი რგოლია და ვინც მარტო ამ ერთ რგოლს აფრინდება და თავის მოქმედების მიზნათ აღიარებს, ის პირდაპირ ეწინააღმდეგება სოციალიზმს. ის არის ნაციონალისტი და როგორც ამნაირი ბურჟუაზიის ინტერესთა დამცველია. *)

„თავისთავათ ცხადია, რომ რუსეთის ამგვარი ძირითადი გადასხვა-ფერება და მისი ჩენი პროგრამის თანახმათ მოწყობა დიდ ძალას, დიდ თრგანიზაციას მოითხოვს. ამ ძალის მთავარი მატარებელია რუსის პროლეტარიატი, როგორც სიმრავლით, ისე თავისი ბინადრობით. მთავრობის უმთავრესი ძალა სატახტო ქალაქებშია, მისი შემუსვრა იქ უნდა მო-

*) მკითხველი ალბად მიხედება, თუ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია რატომ იქმნა „ნაციონალისტურ“ და „ბურჟუაზიულ“ პარტიად მონათლული და გამოცხადებული. ვ. 6.

ხდეს. მაშასადამე რუსეთის რევოლუციის მეთაური, თვითმპყრობულობის სამარია ამომთხრელი პირველ ყოვლისა რუსის მუშა ხალხია. მარა, რომ თვითმპყრობელობის რეეიმი ყველგან, სახელმწიფოს კველა კუთხეში ძარიანათ ამოვარდეს — საჭიროა ყველა ამ კუთხეთა პროლეტარიატის აჯანყება და ადგილობრივ მტრებთან შებრძოლება.“ ...

ნოე უორდანიას მიერ აქ ყველაფერია ნათქვამი — მოცემულია მთელი მოძრაობის მიმართულება და ტაკტიკა, მაგრამ, როგორც ვიცით, ამ წინასწარმეტყველებიდან არაფერი გამართლებულა. — მეტად ძნელია, თუ შეუძლებელი არა, ცხოვრების განვითარებისა და მსვლელობის გეზის მარჩიელობა, ამისათვის საჭიროა აღამიანს ჰქონდეს განსაკუთრებული ჰქუა და ალღო. ნ. უ.-ა, რასაკეირველია, წინასწარმეტყველი არ იყო; მან მოგვცა მხოლოდ თავისი შეხედულება და სურვილი მომავალ ამბებზე, — ცხადია, შეცდარი, მაგრამ ყველა ამ შეცდომაში რომ მერთი შეცდომაც მოსვლოდა და ქართული ეროვნული საკითხი აკტუალურად გაეხადა, — ჩვენ დღეს მადლობის მეტა არა გვეთქმოდა რა! მაგრამ როგორი ქართველი მარქსისტი იქნებოდა, რომ ეროვნულ საკითხზე თავი შეეწუხებია! რას ეტყოდენ მაშინ რუსი ამხანაგები და რუსეთის პროლეტარიატი! — რით განსხვავდება არსებითად ნ. უორდანიას პოლიტიკა და ტაკტიკა ნაროდნიკების პოლიტიკა-ტაკტიკისაგან?

როგორც მოხსენებული იყო, ნაროდნიკების მთავარი დებულება ეროვნულ საკითხში იმით განისაზღვრებოდა, რომ ეროვნული ბრძოლა პოლიტიკურს, სოციალურს და ეკონომიკურს საკითხებს უნდა დამორჩილებოდა და დაქვემდებარებოდა. ისინი მიიწევდენ თვითმპყრობელობის დანგრევისაკენ და ამ მიზნით, რუსეთში მობინადრე ყველა ხალხს საერთო რევოლუციური შეტევისათვის რაზმავდენ. ეროვნული საკითხი მათთვის დღიური წესრიგიდან მოხსნილია და მისი გადაწყვეტა საერთო პროგრამის განხორციელებასთან არის დაკავშირებული.

ეროვნულ პოლიტიკური თვალსაზრისით, ეროვნული საკითხისაღმი ასეთი მიღვომა შომაკვდინებელია, ვინაიდან ეროვნული საკითხის მიჩქმალვით და მიფურჩებით ერს ეცლება თავის ბრძოლაში სწორედ ის საძირკველი, რომელიც მისი არსის სულია:: თვითმყოფობა და ლტოლვა თავისუფლებისადმი!

ნ. უორდანიას ტაკტიკითაც ქართველი თუ კავკასიური პროლეტარიატი (!) რუსეთის პროლეტარიატთან ერთად დაამხობდა რა თვითმპყრობელობას, დემოკრატიულ რესპუბლიკას დაამყარებდა. დემოკრატია კი სოციალიზმის ბერკეტია, ანუ როგორც ნ. უორდანია ამბობს: — „ჩვენთვის, სოციალდემოკრატიისათვის, ნაციონალური და დემოკრატიული

რეფორმები მხოლოდ გზაა, საშუალებაა... სოციალიზმის დასამყარებელთან ლათ”-ი. — მიზანი ნ. უორდანიასაც იგივე აქვს, რაც ნაროდნიკების მიზანი სოციალიზმის დამყარება. ტაკტიკა იგივე — რუსის და სხვა ხალხებთან თუ პროლეტარიატთან ერთად ბრძოლა - ნაროდნიკებისათვის პირდაპირ სოციალური რევოლუციის მოსახლენად, ნ. უორდანიასათვის ჯერ დემოკრატიის გასამარჯვებლად და მერმე სოციალიზმის დასაფუძნებლად. არც ერთს ეროვნული საკითხი ამ ბრძოლის პროცესში არ აწუხებს! და თუ უორდანია დემოკრატიის გასამარჯვებიერდა, პროგრამის მიხედვით რაღაც გაურკვევილ და ნისლოვან ოლქობრივ თვითმართველობაზე შეიძლება დაწყო ლაპარაკი. შეიძლება ერთა თვითგამორკვევის უფლებაზეც ეთქვა რამე, ისიც თეორიულად, თორემ, როცა თვით ცხოვრება არამც თუ თქმას, არამედ მოქმედებასაც მოითხოვდა, ნ. უორდანია მას დიდ წინააღმდეგობას უწევდა. ამას ჩვენ მალე დავინახავთ!

1903 წელს მოხდა რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ყრილობა სტოკჰოლმში; ქართველებმა ყრილობას წარუდგინეს ოლქობრივი თვითმართველობის პროექტი. იმ კამათში, რომელიც ეროვნულ საკითხს შეეხებოდა, აშკარა გახდა, რომ რუსი სოც.-დემ. არამც თუ რაღაც ოლქობრივ თვითმართველობაზე ტლინკებს ჰყრიდნ, არამედ თვით ეროვნული ენის ნაკითხსაც კი საკამათოდ ხდიდნ და მას წვრილმან საკითხად აღიარებდნ! — ნუ თუ ქართველებისათვის იმ წუთსვე ნათელი არ უნდა გამხდარიყო, თუ რუს სოც.-დემ.-ებს ეროვნულ საკითხზე ლაპარაკიც კი რაოდნ ეძნელებოდათ?! ქართველებს ხომ, აქ, ამ სოც.-დემ. კონგრესზე, ადგილობრივი ენებისათვის ბრძოლაც დასჭირდათ? და დიდი რიხით და ზეიადათ კი გამოცხადებულია: — პროგრამის მე-9 მუხლი თვითეულ ერს უფლებას აძლევს თავისი სვებედი თვითონვე გადაწყვეტილოს! ვის უნდა გადაეწყვიტა?, როდესაც ჩვენ თვითონ არ გაწყვეტდით მას და არც ვიცოდით, როგორ უნდა მოვპყრობოდით მას?! არც კი ვფიქრობდით მის შესახებ!?

ხოლო შემდეგ, პრაკტიკულად, საქართველოს პირობებში, როგორ გამოიხატა ეროვნული საკითხისადმი დამოკიდებულება? ჩვენ აქ ვერ გამოუდგებით იმ საინტერესო ამბებს, რომელიც ქართული მარქსიზმის წიაღში მოხდა ლადო დარჩიაშვილისა და მერმე აკაკი ჩხერიძელის გამოსელით. ჩვენ არ ვეხებით არც „ალიონის“ ჯვეფს, რომელიც ეროვნული საკითხის გაკრუალებისათვის იბრძოდა; ჩვენ სახეში გვაქვს და ვმსჯელობთ იმ შეხედულებაზე და ტაკტიკაზე, რომელიც სოც.-დემ. პარტიაში გაბატონებული იყო. ეროვნულ საკითხში ეს გაბატონებული აჩრი და ტაკტიკა ნ. უორდანიას მიერ გამოთქმულ, ზემოაღნიშნულ დებულებებ-

შია გამოხატული, იმ დებულებებში, რომელსაც ესოდენ უბედულ ჭირებულია
გადასავალთა შემდეგაც, დღეს ხოტბას ასხამენ და ქება-დიდებას უმღე-
რიან, — იმ მვალობელთა გუნდში ოვით ნ. უორდანია ლოტბარობს და
საკუთარ ტაკტიკას ისანას უგალობს. დღესაც ნ. ჟ. კვლავ ერთჯერ ზედ-
მეტად იმეორებს და 1904 წ. გამოთქმულ დებულებებს ადასტურებს. იგი
სწერს: — „ფორმა ცენტრალიზმი თუ სეპარატიზმი არას დროს არ ყო-
დილა ს. დ. პარტიაში პრინციპის საკითხათ, ერთხელ და სამუდამოთ გა-
დაჭრილი და გარკეყული! ეს იყო საგანი პოლიტიკის, ხოლო პოლიტიკა
კი დროსა და გარემოებას უკავშირდება. პრინციპიალური დებულება ს.
დემოკრატის არის ერთი — ერის თვითგამორკვევის უფლება, ხოლო ეს
კი აუცილებლათ მოითხოვს თვითსუფალ წყობილებას, თავისუფლება სი-
ტყვის, კრების, ბეჭდვის და სხ., ცხადია, ეროვნული ურთიერთობის გა-
დაწყვეტა მოითხოვს დემოკრატიის ბატონობას და იქ, სადაც ეს პირობა
დაცული არ არის, ერის თვითგამორკვევა შეუძლებელი ხდება. რუსეთის
თვითმპურობელობის ხანაში, ისე, როგორც დღეს, კომუნისტურში, ცხა-
დია, არც ერთ ერს არ შეეძლო და არც შეუძლია ამ სავანზე ფიქრიც ფა!
ამიტომ იყო საჭირო უბირველესად თვითმპურობელობის დანგრევა, რომ-
ლის შედეგად, ერის თავისუფალ თვითგამორკვევის მიხედვით, ჩვენ მივი-
ღებდით რომელიმე ეროვნულ-პოლიტიკურ ფორმას, სეპარატიულს, ცენ-
ტრალისტურს, ფედერატიულს, ანუ კონფედერატიულს...“

ასე სწერს დღეს ნ. უორდანია. მართალია, სეპარატიზმი თუ ცენტრა-
ლიზმი არასადეს პრინციპის საკითხად არა ყოფილა, მაგრამ ეს უპრინცი-
პობა იმაში გამოიხატებოდა, რომ სოც.-დემ. რუსეთისთვის დიდ ერთგულ
და ცენტრალიზმის მომხრე პარტიად გადაიქცა. ვიაღ? ეს იყო „საგანი
პოლიტიკის!“ და ქართულ სოც.-დემ. გაზეთებში არა ერთი და ორი წე-
რილი მოთავსებულა რუსული ცენტრალიზმის დასაცავად და ავტონო-
მიის ჩასაქოლად! მარქსისტების უმთავრესი ბრძოლა სოც.-ფედერალის-
ტებთან სწორედ ამ ხაზზე სწარმოებდა და ავტონომიის წინააღმდეგ გა-
ლაშქრებამ ისეთ ველურობამდე მიაღწია, რომ დღეს. მოვონებისა, ურუ-
ანტელს გვერდის! ავტონომია გამოცხადებულ იქმნა თავადაზნაურულ მო-
თხოვნილებად, რომელსაც, ჩასაქვირველია, (აბა, წარისიანების ენებას აქ
ასპარეზი ეძლეოდა!) მშპრომელი ხალხის დამონქა მიზნად ჰქონდა დასა-
ხული! ისტორიის ეს ფურცლები სამარცხვინო ამბებთათა ღსავსე და თუ
მას გაკვრით შევეხეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ გაკეთენებია — „ეს იყო
საგანი პოლიტიკის!“ — მაგრამ თუ ეს წარსულია, ეხლა მაინც უნდა გვე-
ფიქრა, რომ ჩვენი ნაციონალიზმი, — ერის ინტერესების ძალება და
მათი ერის კვარცხლბეკზე დაყენება — ყველა მის შემადგენელ ნაწილთა
მთლიანისადმი დამორჩილება, ერის თავისუფლება და თავდაცვა — დღეს

მაინც არ იქნებოდა უკბილო, ულაზათო და უგონო დემავოგის მსხვერპლი. მაგრამ არა! გაზეთი „ბრძოლის ხმა“ (ნომ. 3, ოქტომბერი, 1933 წ.)

ქართულ ნაციონალიზმს ასე ახასიათებს: — „ჩვერი ქვეყნის ნაციონალიზმი სოციალურ ნიადაგს მოკლებულია. ის უფრო გამოხატავს გარდაცვლილ თავადაზნაურულ იდეოლოგიას; აქედან აიხსნება მისი სისუსტეც“

და თუ დღეს ვინმე ბედაეს ასეთი რამ (სიტუტუცი) დასწეროს, წარმოგიდგენიათ?, რალა იქნებოდა ამ 30-25 წლის წინად, როდესაც ეს ნაციონალიზმი მარქსისტების მიერ ყბად აღებული იყო! სამასხაროდ, სათრეველად გადაქცეული და დათრგუნვილი ვითარცა თავადაზნაურული და ბურჟუაზიული მიქარვა?!?!

დღეს დიდათ ზეიადობენ იმით, რომ სოც.-დემ. პარტიას პრინციპში აღიარებული ჰქონდა ერთა თვითგამორკვევის უფლებაო!, ეს მკვდარი სიტყვა, თუ პრაკტიკულად მისი განხორციელებისათვის არ იბრძვი! მაგრამ თურმე მისი განხორციელება თავისუფალ წყობილებას, დემოკრატიის ბატონობას მოითხოვს! სად, როდის, რომელ ქვეყანაში დემოკრატიას ერისთვის თავისუფლება მიუნიჭებია? კერძოდ, რუსეთში, ამ დემოკრატიამ ფინლანდიას დამოუკიდებლობის გამოცხადება დაუშალა; ამ კრატიამ უკრაინას თავის თავზე ფიქრისა და საქმის უფლება არ მისცა; ამ დემოკრატიამ საქართველოს ავტოკეფალიაც, ეკლესიის დამოუკიდებლობა, დაუბრკოლა, აუკრძალა, და ქართველმა სამღედელოებამ იგი რევოლუციური გზით გამოაცხადა!

აბა, უყურეთ! როგორ ადვილია გეგმის გაჩარხვა!? თვითმპურობელობას დაანგრევდენ და „ერის თავისუფალ თვითგამორკვევის მიხედვით ჩვენ მივიღებდით ერთ რომელიმე ეროვნულ პოლიტიკურ ფორმას, სეპარატიულს, ცენტრალისტურს, ფედერატიულს, ან კონფედერატიულს“..

მაგრამ რომელი ფორმა მივიღეთ ჩვენ? რომელი ფორმა მივიღეთ ჩვენ ჩვენი სურვილით, ჩვენი ნებით, ჩვენ მისწრაფებით?! — გვიბრძანეთ!

თავი დავანებოთ იმას, რომ არც ერთი ეს საკითხი ჩვენს პარტიაში დამუშავებული არა ყოფილა: მხოლოდ ომის წინახანებში ნ. ქორდანიაშ წამოაყენა ევრედ-წოდებული კულტურული ავტონომია, დედა-ქალაქი ტფილისი უნდა გაინტერნაციონალებულიყო! თუ ლმერთი გაწყვებოდა და ვინმე სიტყვას იტყვდა, ერთი ალიაქოთი ასტყდებოდა ხოლმე და თუ ეს ვინმე უცხოელი სოციალისტი იქნებოდა, ასეთ ამბავს მალავდენ კიდეც ერთი უცხო სოციალისტი თავის შრომაში პრობლემატიურად იმ მოსაზრებას გამოსთქვამდა, რომ შესაძლებელია კავკასია რუსეთს გამოე-

კოსო. ამ ნაშრომის შესახებ ქართულ სოც.დემ. გაზეთში მთელი წერძლები ბი იბეჭდებოდა, მაგრამ ზემოაღნიშნული აზრი კი ქართველ მკითხველს დაუმალეს! ამაში გამოიხატა ის ფსიქოლოგია, რომელიც ყალბი ინტერ-ნაციონალიზმისა და არსებითად ანტიქართული იდეების დამახასაითებელი იყო! საქართველოს ეროვნულ უფლებებზე ლაპარაკი სასირცხო მოვლენად იყო მიჩნეული, სამაგიეროდ, საერთაშორისო და რუსეთის პროლეტარიატზე კივილი კი უძერრფასეს გალობად აღიარებული!

ჩვენ აქ იმიტომ მოგვიხდა ამ საგანზე დიდ ხანს შეჩერება, რომ ეროვნულ საკითხზე აქ აღნიშნულმა მარქსისტულმა შეხედულებამ, ტაკტიკამ და ფსიქოლოგიმ უდიდესი და გადამწყვეტი როლი ითამაშა 1917 წლის რევოლუციაში, როდესაც რუსეთის იმპერია, მსოფლიო ომის შედეგად, დაიღუწა — არა რუსული პროლეტარიატის თავდასხმებისაგან, როგორც ამას ნ. უორდანია მოელოდა, არამედ გერმანული ზარბაზნების იერიშით.

რევოლუციის დროის მოვლენათა აღნიშვნის დროს ჩვენ მხედველობიდან არ უნდა დავკარგოთ, რომ ამ საერთო რღვევისა და გარდატეხის ხანაში, ამიერკავკასიის ასპარეზზე პოლიტიკის ფაკტიური მატარებელი და გამტარებელი სოციალდემოკრატია იყო, იმის მიუხედავად რომ რუსეთის დროებითმა მთავრობამ კავკასიაში ხელისუფლება ოზაკომს — (ოსმბი ზაკავკასი კომისარიატი) ჩააბარა.

1917 წლის თებერვალიდან ეროვნულ დარგში არავითარი საკითხი არ წამოჭრილა, ვინაიდან გამეფებული შეხედულების მიხედვით, ეს ეროვნული საკითხი სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მიერ უნდა გადაწყვეტილიყო. და როცა ამ კრებს არ მოუტადა ფინლანდიამ და უკრაინამ, იქ რუსეთის დროებითმა მთავრობამ ირ. წერეთელი და ევგ. გეგეჭკორი გააგზავნა და დავალება მისცა: — ურჩიეთ, არ გამოაცხადონ დამოუკიდებლობაო! და ეს რჩევა ბრძანებასაც უდრიდა! კავკასიის ერები რუსეთის მთვარობას არ აშინებდენ — საიმედო ხელმძღვანელების, ქართველი მარქსისტების ხელში იყო მათი ბედი! მაგრამ რუსეთის გზაზე მოხდა ისეთი მოწყვეტითი შეტრიალება, რომელმაც ყველაფერი ყირაზე დააყენა.

1917 წლის ოქტომბრის 25-ს ბოლშევიკები რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებას დაეპატრონენ და რუსეთის წარმომადგენელნი გახდენ. ამავე დროს საშინელი სისწრაფით დაირღვა ფრონტი ყველა საომარ მხარეზე და დაიწყო სრული არევდარევა.

ბოლშევიკურმა გადატრიალებამ ჩვენში დიდი აღშფოთება გამოიწვია და ეს ნაბიჯი ერთხმად იყო გაკიცხული და დაგმობილი. მაგრამ სი-



ნამდვილეს ვერავინ გაუქცეოდა და მასთან დაკავშირებულ აღრიცხულებულ ბათა შედევად ამირკავკასიის შდგომარეობა მეტად საჭომანო განდა; ცენტრალური ხელისუფლებისაგან ფაკტურად და უნებურად მოწყვეტილ ამირკავკასიის ძალაუნდებურად თავის თავშე უნდა ეზრუნა; ამის გამო 11 (24) ნოემბერს 1917 წ. რევოლუციურ ორგანიზაციებისაგან წარმომადგენლობა ყრილობამ გადასწყვიტა: — ვინაიდან აღარ არსებობს საერთოდ, აღიარებული ცენტრალური ხელისუფლება და ანარქია კი იზრდება, დამფუძნებელი კრებისათვის ამირკავკასიიდან და კავკასიის ფრონტიდან დელეგატების არჩევნების გათავებამდე, გადაცეს მხარეს მართველობა საზოგადოებრივ უზრუნველყოფის კომიტეტს, დამფუძნებელი კრებისათვის არჩევნების დასრულების შემდეგ — მიენდოს დროებითი ხელისუფლების შედგენა არჩეულთ ყველა სამოქალაქო და სამხედრო მცხოვრებთა მიერ შემდეგ საფუძვლებზე: —

„ა) წაყვანა ადგილობრივი საოლქო პოლიტიკისა საერთო რუსეთის დემოკრატიასთან კავშირით, საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაწყვეტის მიმართულებით;

ბ) ავტონომიური გადაწყვეტა მხოლოდ ადგილობრივი საკითხებისა;

გ) მიუვანა მხარისა (ამირკავკასიის ვ. ნ.) იმ მომენტამდე, როცა შეიქმნება უკელასაგან ცნობილი რევოლუციურ - დემოკრატიული ხელისუფლება ან როცა გაიხსნება საერთო რუსეთის სრულუფლებოვანი დამფუძნებელი კრება“.

აი ეს გადაწყვეტილება საფუძვლად დაედო ამირკავკასიის პოლიტიკას, რომელსაც სოციალდემოკრატია ხელმძღვანელობდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების მეობებით. ამ პოლიტიკას მან შეალია მთელი თავისი უნარი და ძალ-ღონე, ამ პოლიტიკას შეკვდა იყო.

15 (28) ნოემბერს 1917 წ. ამ გადაწყვეტილების შედეგად შექმნილ იქმნა ამირკავკასიის კომისარიატი, რომელსაც ევგენი გეგეჭიორი თავჯდომარეობდა. და 18 ნოემბერს (1 დეკემბერს) ეს კომისარიატი ზემოდ აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე ფიცა სდებდა და თავის თავს, რასაკვირველია, ისეთ ხელისუფლებად აღიარებდა, რომელიც რუსეთის ცენტრალური მთავრობის შედგენამდე ან დამფუძნებელი კრების მოწვევამდე იარსებებდა. — და არავის აზრად არ მოსულია საკითხად მაინც დაქვეა: — ისარგებლოს იმ უფლებით, რომელიც რევოლუციამ აღიარა ერთა თვითგამორკვევის შესახებ, — პირიქით, — ამირკავკასიის კომისარიატი და მთელი სოც.-დემ. იმაზე სწუხდა და ოხავდა, რომ რუსეთს დემოკრატია ინგრევაონ და არ-არსებულ რუსულ დემოკრატიას მოუწოდებდა შეექმნა „რუსეთის რესპუბლიკის ყველას მიერ აღიარებული ხელისუფლება“... — და ამავე დროს ეროვნულ დარგში მხოლოდ ის გაქეთდა,

რომ ნოემბერში მოწვეულ იქმნა საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომელმაც ეროვნული საბჭო აირჩია. რომლის დანიშნულება მუტაფ ბურუსიანი, უსაგანო იყო და ძალა კი უსუსური.

1917 წ. ნოემბერის 21-ს (4 დეკემბერს) კავკასიის ფრონტის უფროს-მა გენ. პრევეზალსკიმ ამავე ფრონტის ოსმალეთის მთავარსარდალის ფერიკ-ვეხიბ-ფაშას წინადაღება მიიღო — დროებითი ზავის ჩამოვდების შესახებ. ამიერკავკასიის კომისარიატი ამ წინადაღებას დაეთანხმა და ხალხს მოწოდებით მიმართა: — „დროებითი ზავის დროს შეიქრიბება სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება, რომელიც ზავის პირობებს გამოიმუშავებს“—ო. — ამგვარად ხალხი დაამშვიდა! — ეს დროებითი ზავი შეიქრა კავკასიის ფრონტზე 5 (18) დეკემბერს 1917 წ., მაგრამ აქ მოხდა ისეთი უცნაური ამბავი, რომელმაც კავკასიის ბედი იჩქითად შეატრიალა და ამ შეტრიალების წინააღმდეგ მთელ თვეთა განმავლობაში სოციალდემოკრატიული პოლიტიკა იბრძოდა!

რა მოხდა?!

კავკასიის არმიის სარდალმა გენერალ-ლეიტენანტ ოდიშელიძემ ის-მალების სარდალ ფერიკ-ვეხიბ-ფაშასაგან შემდეგი საყურადღებო დეპეშა მიიღო:—

„დროებითი ზავის ჩამოვდების დროს, ერძიზანში, კომისიის წევრ, გენერალ ვიშინსკის მიერ ნათქვამი იყო, რომკავკასიის არმია მოლაპარაკებას იწყებს დამოუკიდებელი კავკასიური მთავრობის სახელით... მის ალმატებულებას (ენვერ-ფაშას, მთავარსარდალის მოვალეობის აღმასრულებელს. ვ. ნ.) სურს გაიგოს, როგორი გზით შეიძლება დამოკიდებულება ალდგენილ იქმნეს დამოუკიდებელ კავკასიურ მთავრობასთან, როგორი წინადაღებანი აქვს კავკასიის დამოუკიდებელ მთავრობას, ორივე მხარეს შორის მშეიღობიანობის ალდგენის მიზნით. ამიტომ მისი ალმატებულება (ენვერ-ფაშა. ვ. ნ.) მე წინადაღებას მაძლევს გამოვამგზაერო დამოუკიდებელი კავკასიური მთავრობის დედაქალაქში ამ კეთილი წალილით დელეგატების კომისია“... (1 (14) იანვარი, 1918 წ.). (ხაზი ყველგან ჩერება. ვ. ნ.)

ამგვარად, სჩანს, რომ კავკასიისათვის დამოუკიდებლობა გენერალ ვიშინსკის მიუნიჭებია!, თუმცა ეს აზრი სხვას თავში არ მოსვლია! გამოურკვევია, თუ გენერალმა ვიშინსკიმ ოსმალეთის კომისიას რად განუცხადა, რომ კავკასიის მხედრობა ელაპარაკება მას დროებითი ზავის შესახებ კავკასიის დამოუკიდებელი მთავრობის სახელით! ამის გამო არავითარი ოფიციალური ცნობა არ არსებობს და არც არაოფიციალური გავვიგია რამე. ხოლო ერთი მოსაზრება საგულისხმოა: — როდესაც მას ჰქი-

თხეს მოლაპარაკების დაწყებისას, თუ ვისი სახელით ლაპარაკობს კავკასიის რაც ჩვეულებრივია, იგი იძულებული იყო შესაფერი პასუხი გაეცავა და ვიშინსკი ვერ იტყოდა, რომ იგი რუსეთის სახელით ლაპარაკობს; ვერც იმას იტყოდა, რომ იგი კავკასიის ფრონტის სახელით ლაპარაკობს; ერთად ერთი პასუხი, რომელიც მას შეეძლო გაეცა, იყო: რომ იგი ლაპარაკობს კავკასიის მთავრობის სახელით. და რადგან ამ ხანად ამიერქავკასიის კომისარიატი შესდგა, გენ. ვიშინსკიმ ეს კომისარიატი დამოუკიდებელ მთავრობად წარმოიდგინა, ან ამგვარად გაასალა იგი. მაგრამ ამ თავისი პასუხით გენერალ ვიშინსკიმ კომისარიატი, რომელიც დამოუკიდებლობაზე არც ოცნებობდა, მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, ვინაიდან მან ვეხიბ-ფაშას ზემოაღნიშნულ დეპეშის გამოვზავნის საბაბი მისცა!

ვეხიბ-ფაშა ამიერქავკასიის კომისარიატს სრულიად ნათლად და გარკვეულად წინადადებას ურდევნდა: — თქვენ ყოფილხართ დამოუკიდებელი მთავრობა და საჭირო-სასარგებლოა ზავზე ჩვენ შორს ლაპარაკო! კომისარიატის თავჯდომარე ვეგ. გაგეჭკორმა თავის მხრივ ეს საკითხი „ყოვლად შემძლე“ მუშათა, ჯარისკაცთა და ვლეხთა დეპუტატების საბჭოების საოლქო (კრაევოი) ცენტრს წარუდგინა; ამ ცენტრს ნოე ქორდანია თავჯდომარებდა; და მან შეიმუშავა შემდეგი პასუხის პროექტი ოსმალეთისათვის

„გვსურს რა შევკრათ ზავი იმ საფუძველზე, რომელიც მისალებია რუსეთის დემოკრატიისათვის, საჭიროდ ვრაცხო შევატყობინოთ, რომ ჩვენ წარმოვადგენთ რა რუსეთის რესპუბლიკის შემადგენელ ნაწილს, შევვიძლია შევუდგეთ ზავზე მოლაპარაკებას მხოლოდ ეხლახან შეკრებილ დამფუძნებელი კრებისაგან სათანადო უფლებამოსილების მიღების შემდეგ“ — (დადგენილება 1918 წ. იანვრის 4-ს.)

ეს არის კლასიკური პასუხი, კავკასიის ისტორიაში რომ დარჩება როგორც უბრწყინვალესი ნიმუში იმისა, თუ მისი ხელმძღვანელობა — სოციალ-დემოკრატია — რაოდენ მოკლებული იყო არამც თუ მარტო სინამდვილის გაების უნარს, არამედ ეროვნულ ინსტიტუციაც და უბრალოდ, ცხოველურ ინსტიტუციას, რომელსაც მისთვის უნდა ეკარნახებია თავისი თავისა და ქვეყნის გადარჩენისათვის გაბედული და მტკიცე ნაბიჯი გადაედგა, თავი განეთავისუფლებია დუხშირი პარტიული დოკტრინებისაგან, უარეყო შავგედი დოგმები რუსულ დემოკრატიისთან და რუსულ რევოლუციისთან სამუდამო ცოლქმრობის შესახებ, — და თამამად გადაეწყვიტა კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი, რომელსაც თვით საგარეოდ შექმნილი პირობები მეტისმეტად ხელსაყრელ გარემოებაში აყენებდა. მაგრამ 20-25 წლის განმავლობაში განაზებირები და დაღეჭილი დოკტ-



რინის სიძლიერე სინამდვილის გაგების უნარზე ძლიერი აღმოჩნდა და ხანის განმავლობაში გატკეპნილი და გათელილ გზა მოჯადოებული და გარდაუხომა შეიქმნა; თორემ ამ დროს ბევრმა თავს უშეველა!

უკრაინამ 1917 წლის ნოემბერის 21-ს დამოუკიდებლობა გამოაცხადა; ფინლანდიამ 1917 წლის დეკემბერის 6-ს დამოუკიდებლობა გამოაცხადა; 1917წ. ლატვიამ დამოუკიდებლობა მოითხოვა; მერმე შეაღინა ბოლო ტერიტორიაზე კომიტეტი, რომელიც ქვეყნას უძლევბოლა; 1917 წ. დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელიც ქვეყნას უძლევბოლა; 1917 წ. დამოუკიდებლობის ტარიბამ (ეროვნულმა ყრილობამ) დამოუკიდებლობა მოითხოვა და 1918 წლის თებერვალის 16-ს იგი გამოაცხადა; ესტონიამ იგივე პერიოდის 1918 წლის თებერვალის 26-ს დ მთამ მაისის 11-ს.

ჩვენ რას ვშვრებოდით?

ოსმალეთისადმი პასუხის პროექტი მიღებულ იქმნა 4 (17) იანვარს და ბოლშევიკებმა დამფუძნებელი კრებაც გარეკმნა! აი, იწყება ტირილი და ვაება რუსეთზე და რუსეთის დემოკრატიაზე!

„დამფუძნებელი კრების გარეკამ“, მოსთქვამს ამიერკავკასის რევოლუციურ ორგანიზაციათა ცენტრი, „გასწყვიტა ის უკანასკნელი ძაფი, ლუციურ რევოლუციური ტერიტორიაზე ცენტრი, „რუსეთის მთელი რუსეთი და სრულიად რუსეთის რევოლუციური დემოკრატია. ბრძოლა დამფუძნებელი კრებისა და არის ბრძოლა რუსეთის მთლიანობისათვის და რევოლუციის გამარჯვებისათვის“...

დააწერეს რა ეს დროშაზე სოც.-დემ. წაიყვანეს „ბრძოლაში გამობრძოლი ამიერკავკასიის დემოკრატია“, „რუსეთის მთლიანობისა და რევოლუციის გამარჯვებისაკენ“!

რუსეთი თავისი თანამედროვე განვითარებით ღიად და პირდაპირ მიდიოდა საკუთარი გზით — ბოლშევიკურად —, ჩვენი სოციალდემოკრატია კი ამ რუსეთს არ უშვებდა ამ გზაზე, მას კალთებში ჩაჰვარენოდა, დაბრუნებას ეხვეწებოდა და მის გამთლიანებაზე ოცნებობდა! ეს ხომ დაბლობატია არ იყო! ეს იყო გულწრფელი სურვილი და პოლიტიკურიატია! ასე არ მოქცეულა არც ერთი სხვა ერის ხელმძღვანელობა და ეს ტიკია! ასე არ მოქცეულა არც ერთი სხვა ერის ხელმძღვანელობა და ეს უსაზღვრო თავდადებული ერთგულება არავინ კი არ დააფასა, არავინ მას არ დაუმადლა!

დამფუძნებელი კრება, ეს სათაყვანებელი დანაწესები, უსახელოდ დაიღუპა და ამიერკავკასია კვლავ რუსეთისგან მოწყვეტილი დარჩა, მის ხელმძღვანელთა სურვილის წინააღმდეგ.

სამხრეთიდან ოსმალეთი იყო მომდგარი, თავის წინადადებაზე პა-
სუხს უცდიდა და ამიერკავკასიის კომისარიატმა იმის მეტი ვერა მო-
გონა-რა, რომ ოსმლეთისათვის ეცნობებია: —

„ამიერკავკასიის მთავრობას არ შეუძლია თქვენ დაგიმალოთ, ბა-
რონო გენერალო, რომ მისთვის აუცილებელია თავისი გამოსვლები (ვი-
სტუპლენია), რომ ლიკვიდაციისაკენ მიმართული, რუსეთის რესპუბლი-
კის ტერიტორიალურ ერთეულების სხვა ავტონომიურ მთავრობების
აზრებსა და შეხედულებებს შუთანხმოს“ — .

ორი კვირის შემდეგ ევგ.გეგმექორი ასეთ პასუხს აძლევს ვეხიბ-ფა-
შას, 15 (28) იანვარს 1918 წ. მაგრამ თვით პასუხია საინტერესო თავისი
შინაარსით. — უკრაინამ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1917
წ. 21 ნოემბერს და ევგ. გეგმექორი მას „რუსეთის რესპუბლიკის ტერი-
ტორიალურ ერთეულად“ სოვლის! — ევგ. გეგმექორმა ამ „აზრებისა
და შეხედულებების“ გამოსარჩევებად უკრაინის ცენტრალურ რადასა და
სამხრეთ - აღმოსავლეთის კავშირს მიმართა. პირველისაგან პასუხიც არ
მიიღო! ხოლო ისმის საკითხი, რა ესაქმებოდა ამიერკავკასიის საკითხში
სხვათა შორის, ასტრახანის, ურალის და ორენბურგის მთავრობებს?
მხოლოდ ის აღბად, რომ ესენი იყვნენ ბოლშევიკების ხელისუფლების
გარეშე მყოფ „რუსეთის დემოკრატიის“ წარმომადგნელნი! — მაგრამ
თვით ბოლშევიკები ბრესტლიტოვსკში ამ დროს გერმანიასთან დ მის
მოკავშირებთან საზაფო მოლაპარაკებას ეწეოდა!

და 1918 წლის თებერვალის 1-ს, ვეხიბ-ფაშამ ამიერკავკასიის მთავ-
რობას შეატყობინა, რომ ბრესტლიტოვსკში შეკრებილია საზაფო კონ-
ფერენცია რუსეთისა და ცენტრალ სახელმწიფოთა (ოსმალეთი, ბულგა-
რეთი, აესტრო-პუნგრეთი, გერმანია) რომელნიც

„რომელნიც მზად არიან ყოველი ღონე იხმარონ ცნობილ იქმნეს
ამიერკავკასიის მთავრობის დამოუკიდებლობა“, და რომ ეს ასე მოხდე-
ბა უკველია, და თქვენი წარმომადგენელნი გამოგზავნეთ ბრესტის სა-
ზაფო კონფერენციაზეო... —

ქართველ ხალხს ერთი მეტად ბრძნული ანდაზა აქვს, თუმცა არც
მაინცდამაინც დარბაისური, მაგრამ, ამის მიუხედავად, უნდა ვიხმაროთ
აქ, რადგან იგი ვითარებას საესებით გამოხატავს და ახასიათებს: „ვირს
პიტნა სძულდა და ცხვირში აჩრიდენ“! — ამიერკავკასიის მთავრობა
იმის გულისათვის თავს იკლავდა რომ დამოუკიდებელ მთავრობად არ
გადაქცეულიყო და აქ ვეხიბ-ფაშა მას მოსვენებას არ აძლევდა: — და
მოუკიდებელი იყავიო! სწორედ ჭირვეულებაა!

1918 წლის თებერვალის 6-ს ამიერკავკასიის მთავრობა ვეხიბ-ფაშას
ატყობინებს, რომ აღძრულ საკითხზე პასუხს სამი კვირის შემდეგ გაც-

ნობებთო და ეხლა კი ჩვენ მზად ვართ ზავზე ვილაპარაკოთ და მისი პა-
რობები გამომუშავებული იქნება ამიერკავკასიის სეიმის მიერ, ქართული და სამართლებრივი მინისტრის მიერ და ამის საპასუხოდ
ლიც 10 (23) თებერვალს 1918 წ. შეიკრიბებათ. — და ამის საპასუხოდ
ვენიბ-ფაშა ამიერკავკასიის მთავრობას აცნობებს, რომ ოსმალეთის დე-
ლეგაცია, „რომელსაც ევალება წინასწარი საზაო პირობები გამოიმუ-
შაოს და ამიერკავკასიის მთავრობა აღიაროს, მზად არის“ სტამბულიდან
ტფილის გამოემგზავროს.

ამ დღესვე ტფილისში შეიკრიბა ამიერკავკასიის სეიმი, რომელმაც
ოსმალეთთან საზაო მოლაპარაკების დაწყების შესახებ დადგენილება
გამოიტანა. — ბრესტის საზაო კონფერენციაზე, — ლაპარაკიც არავის
მოუსურვებია!

სეიმის 1918 წ. 1 (26) თებერვალის სხდომაზე ევგ. გეგეჭირი ამ-
ბობს (რაც არა-ერთჯერ უთქვამს), რომ

„ამ საათში ჩვენ წინ სცვას საკითხი, როგორ გადავარჩინოთ, თუ
მთლიანი რუსეთი არა, მისი ნაწილი მაინც, ვინაიდან ჩვენ მხო-
ლოდ ნაწილი ვართ რუსეთისა, ვინაიდან ამ.კავკ. რევოლ. დემო-
კრატიის არმია არის მხოლოდ ერთი რაზმი ოდესლაც დიდი და ძლიერი
სრულიად რუსეთის რევოლუციური არმიისა“...

მაშინდელი ამბების არ-მომსწრე განციფრებით იკითხავს: — რო-
გორ? ამიერკავკასიის სეიმში განა შესაძლებელი იყო ასეთი ლაპარაკი?
მაშ სეიმი ვის და რას წარმოადგენდა?

რომ ესეც გარკვეული იქმნეს, ამიტომ საჭიროდ მივვაჩნია ავხსნათ,
თუ როგორ წარმოიშვა ეს სეიმი და ვის ემსახურებოდა იგი.

სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების დალუპვის შემდეგ, ტფი-
ლისში კვლავ დაისვა საბედისწერო საკითხი: — რა ვქნათ? — და მას პა-
სუხად შემდეგი გაეცა, 12 (25) იანვარს, 1918 წელს: —

„დამფუძნებელი კრების გარეკამ ამიერკავკასია კვლავ თავისი სა-
კუთარი ძალების ამარად მიატოვა... მხარეს (სიკ!) სასიცოცხლო ინტე-
რესები მოითხოვენ მახლობელ დღეებში მოწვევულ იქმნეს კრება დეპუ-
ტატთა, არჩეულთა დამფუძნებელ კრებაში ამიერკავკასიისაგან და კავ-
კასიის ფრონტიდან“ — და ამ დეპუტატთა კრებისაგან სეიმი დაიბადა,
რომელიც თავის თავს, რასაკვირველია, ამიერკავკასიის ერების დამოუ-
კიდებელ ორგანოდ არა სთვლიდა! და მართლაც არაკავკასიური ხმები
ამ არჩევნებში მეტად დიდი იყო, ვინაიდან კავკასიის ფრონტიც იღებდა
მონაწილეობას...

თქვენ შეგიძლიათ გადაიკითხოთ სეიმის სტენოგრაფული ანგარიშე-
ბი და იქ იშვიათად შეხვდებით ერთ სიტყვას — ერს, ეროვნებას, ეროვ-
ნულ ინტერესს, — სამაგიეროდ, ნიადაგ ლაპარაკია რუსეთზე, ამიერკავ-

ქასიის დემოკრატიაზე და რევოლუციურ მონაპოვარზე! — თავი დავა-
ნებოთ იმას, რომ თითქმის ყველა სიტყვა გაუღენთილია რევოლუციური
აღტყინებით; რევოლუციურ სიტყვათა კორიანტელი სდგას და სასახლეს
რევოლუციური აღმური და ბული ასდის, — ეს ბუნებრივია, მაგრამ
რაც ბუნებრივად არ შეიძლება მივიმჩნოთ, — ესაა საერთაშორისო და
რუსეთის ვითარების სრული გაუგებლობა, მასში გაურკვევლობა, დაბ-
ნეულობა! — თვით კავკასიას რაც შეეხება, აქაც მხოლოდ რევოლუცი-
ურ ასპარეზადაა იგი გადაქცეული და რევოლუციური სათვალით აღჭუ-
რებილი მისი ხელმძღვანელობა რეალ ძალთა ანგარიშს ვეღარ ახდენდა
და საგარეო მდგომარეობასაც ამ საზრისით უკერეტდა! ეს საინტერესო
და ცალკე თემაა რევოლუციური და ყალბი დოქტრინებით გატაცების
დახასიათებისათვის!

მაგრამ საკითხს დავუბრუნდეთ.

16 თებერვალს (1 მარტს) 1918 წ. ამიერკავკასიის სეიმში მიიღო გა-
დაწყვეტილება, რომ სეიმი „შექმნილ პირობებში თავის თავს უფლება
მოხილად ხელის ასამაღლეთთან ზავი შეჰქრას“ და საზავო პირობად —
1914 წლის რუსეთის საზღვრები აღიარა.

იმ დროს, როცა ტფილისში ასეთი პოლიტიკური ჯანჯლობა და ტა-
ქტიკური უეჭვა გამეფებული იყო, ბრესტლიტოვსკში ცენტრალ სახელ-
მწიფოებმა და მისმა მოეკეშირებმა რუსეთთან ზავი შეჰქრეს და იქ,
ზავის პირობით, არდაგან—ყარს—ბათუმის არენი, თვითგამორკვევის
სახელითა თუ სახით, ოსმალეთს დაულოცეს.

ამიერკავკასიის მთავრობას რაღა დარჩენოდა თუ არ პროტესტის გა-
მოცხადება! ხოლო ვებიბ-ფაშა 25 თებერვალს (10 მარტს) 1918 წ. ალ-
ნიშნული ორქების დაცულას მოითხოვს!

ამიერკავკასიის სეიმის თავჯდომარე ნიკოლოზ ჩხეიძე თავის პრო-
ტესტში ამ უსამართლობის წინააღმდეგ, პირველად და ყრუდ ამბობს,
რომ ბრესტლიტოვსკის ზავის ცნობა არ შევვიძლია, ვინაიდან იგი შე-
იკრა „უფოდინარად და დაუდასტურებლად დამოუკიდებელ ამიერკავ-
კასიის მთავრობისა“-ო.

ეხლა კი ყველამ იგრძნო და იცნო, რომ თვალხუჭობისა და კუკუ-
მალობისა თამაში შეუძლებელი ხდებოდა და ევგ. გეგეშეკორი თავის სა-
სწრაფო დეპეშაში ამბობს, რომ

„ამიერკავკასია, როგორც თვითმყოფი ერთეული, მზადაა აწარმოოს
მოლაპარაკება ოსმალეთთან“-ო (25 თებერვალი (10 მარტი).

მაგრამ, როგორც ვხედავთ, მაინც იეკება სიტყვა, მაინც არ სურთ
სთვანი, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელია და რუსეთისაგან გამო-
ყოფილიო.

რასაკვირველია, ოსმალეთის მოთხოვნილებათა წინააღმდეგ აღსრულდა
რევოლუციური დემოკრატიის ხელმძღვანელი ნ. უორდანია, რომელმაც
უარპყო რა ბრესტის ზავი, განაცხადა: — „ამიერკავკასიის დემოკრატიას
რომელიც, პირველად ყოვლისა დაინტერესებულია ავრარული საკითხის
გადაწყვეტით, არ შეუძლია იგი გადასწყვეტოს ოსმალური შემოსევის
გამო... ჩენენთვის სალვრების დაცვა არის რევოლუციის დაცვა“...

შეიძლება გვყავდა ბევრი კარგი პოლიტიკოსი, გვყავდენ შესანიშნავი
პარტიული პოლიტიკოსები, — მაგრამ, სამწუხაროდ, არ გაგვაჩენ თი-
თქმის სახელმწიფო კაცები, სტეიტსმენები!

ამიერკავკასიის და ოსმალეთის საზავო დელეგაცია ერთმანეთს შე-
ხვდა ტრაპეზუნის საზავო კონფერენციაზე, რომელიც 1 (13) მარტს
1918 წ. გაიხსნა. — ოსმალური დელეგაციის თავჯდომარე რაუფ-ბეი,
თავის მიმართვაში ამიერკავკასიის დელეგაციისადმი, ამ უკანასკნელს
უწოდებდა: —

„კავკასიის რესპუბლიკური მთავრობის წარმომადგენელს“
და თეოთ რესპუბლიკას იხილავდა როგორც ისეთს, რომელიც არის შე-
ქმნის პროცესში.

თავის საპასუხო ნოტაში დელეგაციის თავჯდომარე აკაკი ჩხენკელი
ოსმალებს მოახსენებდა, რომ ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ

„ამიერკავკასიაში შეიქმნა ახალი დამოუკიდებელი მთავრობა, ეხლა
პასუხისმგებელი სეიმის წინაშე და რომ ამიერკავკასია ფაკტიურად უკვე
დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელიც შესულია საერ-
თაშორისო დამოკიდებულებათა სფეროში და რომელმაც მის დაუკითხა-
ვად დადებულ ბრესტის ხელშეკრულების წინააღმდეგ პროტესტი განა-
ცხადა, თუმცა მას (ამიერკავკასიას. ვ. 6.) არ გამოუცხადებია და სახელ-
მწიფოთათვის არ შეუტყობინებია თავისი დამოუკიდებლობის შესახებ“.

ამ დიპლომატიურ უხეირო თამაშს რა შედევი უნდა მოჰყოლოდა? —
რას უპასუხებდა ოსმალეთის დელეგაცია? აი რას: —

საერთაშორისო უფლების თანახმად, ამიერკავკასიას თავისი თავი უნ-
და დამოუკიდებლად გამოეცხადებია და სახელმწიფოთა წინაშე ზომებიც
მიეღო ამ აკტის აღიარებისათვის და ცნობისათვის. მაგრამ ეხლა, როცა
ამიერკავკასია ამაზე ლაპარაკობს, უკვე გვიან არის, ვინაიდან მან ეს არ
მოიმოქმედა, არც წარმომადგენლები გამოგზავნა ბრესტში და ამგეგარად
„თავისი თავი ჩასთვალა არა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, არამედ
რსესთის ფედერატიული რესპუბლიკის წევრად“ და ამიტომ ბრესტის
ხელშეკრულება ძალაში უნდა დარჩეს ესე იგი ყარსი, არდაგანი და ბა-
უმის ოლქები ოსმალეთს უნდა გადაეცესო. აი პასუხი!

28 მარტს (10 აპრილს) 1918 წ. ამიერკავკასიის დელეგაცია, ულტერატუმის ძალით, იძულებული გახდა ბრესტის ზავი აღეარებია, მაგრამ რაუფ-ბეიმ კვლავ მოითხოვა, რომ „ამიერკავკასიაშ გამოაცხადოს თავისი დამოუკიდებლობა“-ო.

აკაკი ჩხენკელი ხედავდა, რომ ერთად-ერთი გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან იყო — დამოუკიდებლობის გამოცხადება, რაზეც ტფილისი არ თანხმდებოდა; ტრაპეზუნდში კი აკაკი ჩხენკელი თმას იგლეჯდა და ტფილის დეპეშით ერმებოდა, — მოითხოვდა:

„ამიერკავკასიაშ უნდა გამოაცხადოს თავისი თავი დამოუკიდებლად, რასაც იგი არ შერება, ჩემი დაუინების მიუხედავად“-ო. (26 მარტის (8 აპრილის) 1918 წ. დეპეშა).

მაგრამ არა! არ შეიძლება! რაღა ეშველება რუსეთის დემოკრატიას და დიდ რუსეთსკა?!

1 (14) აპრილს 1918 წ. ამიერკავკასიის მთავრობაშ საზავო დელეგაცია უკან გამოიწვია.

30 მარტს (12 აპრილს) ბათუმის კომენდანტმა გენ. მდივანმა ულტიმატუმი მიიღო ბათუმის დაცლის შესახებ. და 31 მარტს (13 აპრილს), როდესაც გადასწყდა ამიერკავკასიის დელეგაციის უკან გამოწვევა, ირაკლი წერეთელმა განაცხადა:

„სოციალდემოკრატიული ფრაქცია შესაძლებლად სცნობს ორიენტაცია აიღოს რუსეთის დემოკრატიაზე, რომელიც ილვიძებს, და ეძებოს დახმარება იმ მეგობრულ ძალთა, რომელიც მზად არიან დაეხმარონ ამიერკავკასიის დემოკრატიას მის ბრძოლაში ფიზიკური და პოლიტიკური არსებობისათვის“-ო. — ნეტარ არიან მორწმუნენი და ასეთი მორწმუნე ყველა იყო!

ამიერკავკასიის სეიმში საშინელი რევოლუციური ქარიშხალი ასტუდა. და მერე როგორი! უტყვი და მჭერმეტყველი, ლუყი და ენამზიანი, — ყველა რისხეთი ჰკრულავდა იმპერიალისტებს და ამიერკავკასიის რევოლუციურ მონაპოვართა დაცვის მოხილვდა, (გარდა მუსავატელებისა, რომელთაც განაცხადეს, რომ ისინი არ არიან ოსმალეთთან ომის გარდელების მომხრე, თუმცა მთავრობას მაინც დავეხმარებითო).

და მეორე დღეს, 1 (14) აპრილს 1918 წ. სეიმის სოციალდემოკრატიული ფრაქცია და რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის საოლქო კომიტეტი (ქართველი სოც.-დემ.) თავის მოწოდებაში (1 აპრ.

1918 წ.) რუსეთის დემოკრატიისადმი („ამხანაგო მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო!“) ამბობდა: —

„ბრძესტლიტოვსკის ხელშექრულებაზე დაყრდნობით, ოსმალეთის იმპერიალისტებმა წარმოგვიდინეს მოთხოვნილება, რომელიც ამიერკავკასიის დამონებას უდრის. ჩვენ არ შეგვეძლო ამ მოთხოვნილებაზე დავთანხმებოდით, რადგან მათზე დათანხმებას გამოიწვივდა მოთხლი კაპიტასიის მოწყვეტას აუსეთისაბან და იქნებოდა რევოლუციის დალატი... გამოგვემაურეთ ჩვენს მოწოდებაზე, მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო, რუსეთისა — და ერთად დავიცვათ მტრისაგან ჩვენს წითელ დროშას დიდი რუსეთის რევოლუციისას და თავისუფლებისას“... .

საჭიროა ამ მოწოდების ახსნა-განმარტება?!

თუ დღესავით ნათელია მისი აზრი და სული! ქართველი სოც.-დემოკრატიის აზრი და სული!?

ამავე დღეს, 1 (13) აპრილს 1918 წ. ოსმალებმა ბათუმი დაიკავეს. და 9 (22) აპრილს ვეჩიბ-ფაშა ეკითხება აკაკი ჩხერიელს: — სურს თუ არა ამიერკავკასიას ზავზე მოლაპარაკება დაიწყოს?

და ამავე 9 (22) აპრილს სეიმის სხდომის დღიურზე წესრიგში, როგორც იქმნა, წარმოადგინეს საკითხი: — ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ. *)

ბოლშევიკური სახელმწიფო გადატრიალებიდან — 1917 წ. 25 ოქტომბერი — 1918 წლის 10 აპრილამდე, თითქმის ექვსი თვის განმავლობაში, ხელმძღვანელი ქართველი სოციალდემოკრატების წინაშე არა ერთ ჯერ წამოიჭრა საკითხი დამოუკიდებლობის შესახებ. ფაკტიურად, როგორც საგარეო პირობებმა, ისე რუსეთის ვითარებამ და კავკასიის მდგომარეობამ არა ერთხელ ბრძანებით გვიკარნახა ამიერკავკასია დამოუკიდებელად გამოცხადებულიყო — ჩვენ ამ ბრძანებას ყოველ ნაბიჯზე ვე-

*) ჯერ კიდევ მაშინ, როცა სეიმში დაისკა საკითხი (12 (25) მარტს) საზავო დელეგაციის მოხსენების გამო, — პირველად გაისმა ხმა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ, — სახელდობრ, გ. ლასხიშვილმა სოქვა: — რომ დამოუკიდებლობის საკითხში ჩვენ დავიგიანეთ, იგი უნდა გამოგვეცხადებია შარშან ოკტომბერშით! და მუსულმანური ფრაქციის წარმომადგენელმა კი განაცხადა: — თუ ამიერკავკასია თავის დამოუკიდებლობას არ გამოაცხადებს, ფრაქცია მხარს არ დაუჭერს საზავო მოლაპრაკებასო.

ხეჩბოდით — მაგრამ ამირკავკასიის დემოკრატიის ხელმძღვანელმა პარტიამ, ნ. უორდანიამ და მისმა პარტიამ, გამოიჩინა დიდი პოლიტიკური ჯიუტობა და ორელიგიური რწმენა რუსეთის დემოკრატიაზე, რუსეთის რევოლუციაზე; შეჩერებული იყო დიდ რუსეთზე და 25 წლის წინად ერთ-ჯერვე აღებული ხაზი და ტაკტიკა, არ იქმნა, არ გადახარა; გააფიქრებით ებრძოდა იგი სინამდვილეს, სანამ სასტიკად დამარცხებული არ შეიქმნა. — სოციალდემოკრატიამ, რომელიც ნ. უორდანიას მისდევდა, სანამ საბოლოოდ არ იქმნა იძულებული, არ დასვა დამოუკიდებლობის საკითხი. ეს იყო გამოუვალი პირობების მიერ შექმნილი იძულება და არა სურვილი და პოლიტიკა ამიერკავკასიის ხელმძღვანელთა, რომელნიც დღესაც გარდაცვლილ რუსეთს მისტიროდენ და ძალით შემოსილნი, თავზე ნაცარს იყრიდენ; მაგრამ ისტორიას თავისი ლოდიკური მსვლელობა აქვს, რომელიც თვით ფაკტების ურთიერთობიშეზობრივი დამოკიდებულების ძალით იქმნება და აქედან გამომდინარე დასკვნამ თვით შექმნა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა, ამ ჭვეულის ხელმძღვანელთა წადილისა და მისწრაფების წინააღმდეგ.

ამიერკავკასიის სეიმის სხდომაზე 9 (22) აპრილს 1918 წ. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის დამცველად გამოვიდა სოციალდემოკრატი დავით ონიაშვილი. — დამცველად? მაგრამ როგორ დამცველად!?

ჩვენ ვიცნობთ სხვა და სხვა ერის დამოუკიდებლობის გამოცხადების დასაბუთებას; ჩვენ ვიცნობთ სხვა და სხვა ერის ხელმძღვანელთა შეხედულებას დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ, — მაგრამ ასეთი და ამგვარი დასაბუთება, რომელიც ჩვენს სეიმში დ. ონიაშვილმა მოგვცა, რაც უნდა ითქვას, მარტოდ მის პირად შეხედულებას არ გამოხატავს, არ გვინახავს, არც გაგვიგონია, არც წაგვიკითხავს.

ერი ან ერების ჯგუფი დამოუკიდებლობას აცხადებდეს და მყრობელი ბატონის გარდაცვალებას დასტიროდეს!?

ერი ან ერების ჯგუფი დამოუკიდებლობას აცხადებდეს და მას ასაბუთებდეს ბატონის პოლიტიკური რეჟიმის მიუღებლობით!?

ერი ან ერების ჯგუფი დამოუკიდებლობას აცხადებდეს და მას ტრალედიათ სთვლიდეს!?

უცნაურებაა, უცნაურება!

დ. ონიაშვილმა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება ამ გვარად დაასაბუთა: —

„როგორც თქვენც იცით, მოქალაქენ, ოკტომბრის თვეში რუსეთში მოხდა დიდი პოლიტიკური გადატრიალება და ამის შედეგად ეს მთლიანობა სრულიად რუსეთის დემოკრატიული ფრონტისა აღმოჩნდა გატე-



ხილი. მთელს ქვეყანაში იფეთქა სამოქალაქო ომმა. საშინელი ანაზოგადა უმიზნო ულეტა ადამიანთა სიცოცხლისა, სრული ფინანსური და ეკონომიური კრახი, არ-არსებობა მთლიანი ხელისუფლებისა, რომელიც სარგებლობდეს ნდობითა და ავტორიტეტით ქვეყანაში, სასტიკი განუკითხავი გასამართლებანი (სამოსული), უხეში ძალა ძლიერისა, — იმ სურათი იმ საშინელებათა, რომლის წინაშე ფითრდებიან მეფის რეჟიმის საშინელებანი. ბოლშევეიკურმა რუსეთმა დაპარაგა თავისი იდეური სახე და გადაიქცა გარკვეულ რეაქციონურ მოძრაობად, რომელიც ემუქრება სოციალიზმის საქმეს არა მარტო რუსეთში, არამედ მთელს ქვეყანაზე. ამგვარად, ეხლა, შექმნილ ვითარებათა ძალით რუსეთის ორიენტაცია არის, არსებითად, ორიენტაცია რეაქციონური. თუ ყურადღებას არ მივაკეცთ პოლიტიკურ, ეკონომიურ და ფინანსური ხასიათის მოსაზრებებს, მაშინაც რევოლუციური მოვალეობა ურყევად გვიბრძანებს გადავაგდოთ გვერდზე რეაქციონური ორიენტაცია და მოვძებნოთ უკეთესი და ახალი ორიენტაცია. ამიერკავკასიის ხალხების წინაშე შეიქმნა ახეთი ტრადიული ვითარება: —

ან გამოაცხადოს ამიერკავკასია რუსეთის განუყოფელ ნაწილად და ამგვარად გაიმეოროს რუსეთის სამოქალაქო ომის ყველა საშინელება აქაც და მერმე გახდეს უცხოეთის შემოსევის ასპარეზად, — ამ შემთხვევაში ისმალების შემოსევის, — ან-და გამოაცხადოს თავისი დამოუკიდებლობა და საკუთარი ძალებით დაიცვას ფიზიკური არსებობა მთელი მხარისა. როცა საქმე ასეთ მსელელობას ღებულობს, მაშინ ერთად ერთი გამოსავალია დაუყონებლივი გამოცხადება პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და შექმნა ამიერკავკასიის ფედერატიული რესპუბლიკისა... უნდა ითქვას, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობა ნაკარნახებია არა წუთის პირობებით, — ეს კი არაა ჩვენი რწმენის ანუ არა-რწმენის ხაგანი, — ესაა პოლიტიკური აუცილებლობის აკტი“...

სუ იტყოდა დ. ონიაშვილი და გამოცხადდა ამიერკავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, — ევგ. გეგეჭკორის მთავრობა გადადგა ზა აკაკი ჩხერიმელის შესდგა — ასეთ ტირილში და ვაებაში, გოდებაში და ხოკეაში! არც ერთი გამამხნევებული სიტყვა! არც ერთი აღმაფრთვა-ნებელი თქმა! არც ერთი ხსენება ერისა და მისი უფლებისა! არც ერთი მოგონება სამშობლოზე!

10 (23) აპრილს 1918 წ. დამოუკიდებელი ამიერკავკასიის რესპუბლიკის თავვადომარე და საგარეო მინისტრი აკაკი ჩხერიმელი ცენტ-ფაშას ატყობინებს, რომ ამიერკავკასიამ დამოუკიდებლობა უკვე გამოაცხადა, შესრულებულია თქვენი ერთი იმ მოთხოვნილებათანი, რომელიც ჩვენ

შეცვენებოდა და ეხლა განვაგრძოთ ზავზე მოლაპარაკებაო.

ახალი მთავრობა სეიმს თავისი დეკლარაციით წარუდგა და მის შე-
სახებ მსჯელობასთან დაკავშირებით ირაკლი წერეთელი ქვლავ შეეხო
დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხს და სოქვა:

„ამირაკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს სამართლია-
ნად მიუთითობდენ საგარეო ძალებისა და საგარეო ვითარებათა გავლენა-
ზე, რომელნიც ამიერკავკასიის დემოკრატიას დამოუკიდებლობისაკენ
ხელსა ჰქონდენ... იყვენ საგარეო ძალები, და ამ საგარეო ძალთა შორის,
რომელნიც ამიერკავკასიის ფარგლების გარეშე მოქმედებდენ, გადამწყ-
ვეტი როლი ითამაშა ერთმა საგარეო ძალამ, რომელმაც ხელი ჰქონა ამ.-
კავკასიის დემოკრატიას დამოუკიდებლობის გამოცხადების გზისაკენ. ეს
საგარეო ძალაა — ბოლშევკიზმი“...

ასე და ამ გვარად!

ამ ხანის განმავლობაში დაეცა ყარსი, დაკავებულ იქმნა იმავე ოსმა-
ლების მიერ ალექსანდროპოლი, ახალქალაქ-ახალციხე, ოშურგეთი და
სხ. მათვე მოითხოვეს ამიერკავკასიის რკინიგზებზე ჯარის გადაყვანის
უფლება და სხ., ხოლო 15 (28) აპრილს 1918 წ. ვეხიბ-ფაშა აკაკი ჩხენ-
ძელს ატყობინებდა: —

ოსმალეთის მთავრობამ აღიარა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა
და ამის შესახებ თავის მოკავშირეებს ამცნო; ბათუმში შესდგება საზავო
კონფერენციაო.

ამ კონფერენციის ისტორიას ჩვენ არ შევუდგებით, მაგრამ მისი შე-
დევი კი უსათუოდ უნდა აღინიშნოს. — აქ გამოიჩინა, რომ ამიერკავკა-
სიის დემოკრატიის წარმომადგენელნი ოსმალეთთან ომისა და ზავის სა-
კითხში ერთი მეორესაგან ძლიერ განსხვავდებოდენ. აზერბეიჯანის დე-
მოკრატიის წარმომადგენლნი ოსმალეთს მთლიანად მხარს უჭერდენ, მის-
ორიენტაციაზე იდგენ; სომხეთის დიდი ნაწილი ოსმალეთის მიერ უკვე
იარაღით იყო დაკავებული და სომხობა აღარავითარ ძალას არ წარმო-
დგენდა; დარჩენ მარტოდ ქართველი დემოკრატიის წარმომადგენლები,
რომელნიც ოსმალებს ეწინააღმდეგებოდენ. — აქ გამოიჩინა ამიერკავ-
კასიის დელეგაციის ფიქტიურობა, მისი ერთობის უსუსურება, ანუ რო-
გორც ირაკლი წერეთელმა სეიმში სოქვა: — ქართველი ხალხი

„დარჩა მარტო, მას მოსწყვეტეს სომხის ხალხი, მისგან ამ წუთში წა-
ვიდა მუსულმანური მოსახლეობა; და ის გარემოება, რომ არსებობს ფიკ-
ტიურად ამიერკავკასიის რესპუბლიკა, არსებობს ფიქტიურად ამიერკავ-
კასიის დელეგაცია — ამ ხალხს (ქართველ. ვ. ნ.) ართმევს შესაძლებლო-
ბას, თუნდაც იმ ძალებით, რომელიც მას გააჩნია, შეჰქმნას სახელმწიფო-
ებრივი ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლება თავისი ინტერესები, დიცვას.

იცოდე (ქართველო ხალხო. ვ. ნ.) , თუ გსურს დაიცვა შენი ინტერესების მიზანით თავი, შენ უნდა შექნა შენი სახელმწიფო ორგანიზმი და შენი ითვიცალური წარმომადგენლობა“...

და დამოუკიდებელი ამიერკავკასიის რესპუბლიკის სეიმშა ყველა ხმით ორის წინააღმდეგ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება 1918 წ. მაისის 26-ს:

ვინაიდან ომისა და ზავის საკითხში ომობრივი ძალები განსხვავებანი იმ ხალხთა შორის, რომელთაც შექვემდებრი გახდა ერთი ავტორიტეტული ხელისუფლების გამოსხელა, რომელსაც შეეძლოს ამიერკავკასიის სახელით ლაპარაკი, — სეიმი ადასტურებს ამიერკავკასიის დანაწილებას და თავის უფლებამოსილებას თავიდან იხსნის.

მოკვდა ამიერკავკასიის რესპუბლიკა 46 დღის მწარე სიცოცხლის შემდეგ...

და იმავე დღეს დაიბადა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა — 1918 წ. მაისის 26-ს.

საქართველოს დამოუკიდებლობაც მიეიღოთ როგორც გარდაუვალი სინამდვილის შედეგი, როგორც დამარცხების ნაყოფი. და ასეც არის საქართველოს დამოუკიდებლობის აკტში (სამარცხვინოდ!) ნათქვამი: —

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა როგორც დამოუკიდებელი და თავისიუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ეალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წესწყვიბილება შექვემდებარებული საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ეალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„დარჩნენ რა თავისი ძალონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძლოლა და პატრიონობა და შესაფერი ორგანოებიც შექვემდებარებული მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერკავკასიის ერთი შემაერთებელი კავშირი დაიირდვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მოლისინობა დაშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს საკუთარი სახელმწიფო მომართვის განცხადება სიტყვის მიზნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს“...

არც ერთი ცოცხალი სიტყვა და რამდენი სიყალბე! ლირს, რომ ეს დამოუკიდებლობის განცხადება სიტყვა - სიტყვით იქმნეს გარჩეული, მაგრამ ამაზე სხვა დროს. ხოლო ეხლა კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ გან-

ცხადებაში ისტორიაც დამახინჯებულია, ფაქტებიც გაყალბებული და მოკლებულია ეროვნულ სულს, ეროვნულ აღმაფრენას.... რისი ეროვნული აღმაფრენა, როდესაც ამ აკტს მეორე დღესვე მოჰყვა ზეპირი და წერილობითი ბოდიში: — რა გვექნა, იძულებული გაეხდით დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებიაო, — და ეს თქმა ხელიხელ საგოგმანებელად შეიქმნა ქართული დიპლომატიისათვისაც კი!

ჩვენ გვსურდა გამოგვერკვია, თუ სოციალდემოკრატიის იდეოლოგია და ტაკტიკამ ეროვნულ საკითხში რა როლი ითამაშა. — ცხოვრება გამომცდელია და ჩვენ დაინახეთ, რომ მან ქართული მარქსიზმი ჩასჭრა და სასტიკად დაამარცხა. დამარცხდა მოელი ის პოლიტიკა და ტაკტიკა, რომელმაც ფეხი აიღვა 1865 წლიდან და რომელიც გააგრძელა, გააძლიერა და სახელმძღვანელოდ ქართულმა მარქსიზმმა გაიხადა. დამარცხდა ქართული მარქსიზმი ეროვნულ საკითხში, დამარცხდა მისი ტაკტიკა ეროვნულ დარგში, — ისტორიამ მას გვერდი აუარა და საერთაშორისო პირობათა დარჯაგიდან როგორც ამიერკავკასიის, ისე საქართველოს დამოუკიდებლობა იშვა — ქართული მარქსიზმის სურვილისა, პოლიტიკისა და ტაკტიკის წინააღმდეგ. და მართალია ირაკლი წერეთელი დღეს რომ სწერს: — „ქართველი ხალხი დამოუკიდებლობის გზაზე შეაყენა არა პარტიათა გეგმამ და გავლენამ, არამედ მის გარშემო მომხდარმა ისტორიულმა ფაქტებმა“—ო.

ამ მცირე მიმოხილვამ გვაჩვენა, რომ

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა საგარეო პირობათა ძალით წარმოიშვა; — რომ

ამ საგარეო პირობებში მთავარი მონაწილე იყო რუსეთში მომხდარი ბოლშევიკური გადატრიალება და ოსმალეთი; — რომ

რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფა მოხდა ფაქტიურად და არა პარტიათა და ერების ხელმძღვნელთა სურვილითა და მისწრაფებით, მათი ეროვნული პოლიტიკისა და ეროვნული ბრძოლის ტაკტიკის წინააღმდეგ; — რომ

ეს გამოყოფა მოხდა განსაზღვრული სოციალ-პოლიტიკური რეჟიმის — ბოლშევიზმის — გაბატონების გამო რუსეთში და არა რუსეთისაგან, როგორც ერის სახელმწიფოსაგან; — რომ

მარქსისტული პარტია, რომელიც ამიერკავკასიის ხელმძღვანელი იყო, მისთვის პოლიტიკის მიმცემი და მისი გამტარებელი, მუდმივად,

მბათურად სინამდვილეს ებრძოდა და რუსეთისაგან ჩამოშორებული სურდა; — რომ

იგი ნატვრით საზრდოობდა და პოლიტიკაში რუსეთის დემოკრატიაზე და საერთოდ დიდი რუსეთის აღდგენაზე ყალბი იმედით ხელმძღვანელობდა; — რომ

ამის მოლოდინში თავის საქმეს გულისყურს ვეღარ უდებდა და საკუთარ ქვეყანას საკუთარ პოლიტიკას ვეღარ აძლევდა; — რომ

ამ ბრძოლაში მან შესძლო ამიერკავკასიის რუსეთისაგან გამოყოფისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხი დაეყოვნებია, გაეთრია, დაევენიანებია, რის შედეგად ამიერკავკასიას ბევრი უბედურება თავს დაატყდა; — რომ

იგი დაბოლოს იძულებული გახდა ამ დამოუკიდებლობაზე ისტორიას დასთანხმებოდა; — რომ

იგი დამოუკიდებლობის გამოცხადებისას დაღუპულ რუსეთს ჰგლოვობდა და არ-არსებულ რუსულ დემოკრატიას მისტიროდა; — რომ

ერისა და სახელმწიფოს საკითხში იგი პარტიულ იდეოლოგიურ დოგმებსა და პარტიული ტაკტიკის დოკტრინებს ვერ აშორდა; — რომ

იგი ზრუნავდა მხოლოდ განსაზღვრულ პოლიტიკურ რეჟიმზე — მისი გეზი მიმართული იყო მხოლოდ რევოლუციურ დემოკრატიაზე, და ყველა სხვა საკითხს, როგორც საგარეო, ისე საშინაოს, ამ თვალსაზრისით უდგებოდა და სწყვეტავდა; — რომ

მთელი ეს ტაკტიკა სასტიკი დამარცხებით დასრულდა; — რომ

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება მოხდა მეტად გვიან, როცა ამიერკავკასიის საქმე უკვე წაგებული იყო და მაღაგახსნილი ოსმალეთის სარდლობას კავკასიის მქერდზე ბებუთი მობჯენილი ჰქონდა; — რომ

ამიერკავკასია ამ მომენტში უკვე დარღვეული იყო და ოსმალეთმა ისარგებლა ეს რღვევა დაესრულებია; — რომ

იმავე საგარეო პირობებისა და ამიერკავკასიის რღვევის შედეგად ქართველოს დამოუკიდებლობა წირმოიშვა; — და რომ

ამით მარქსისტული პარტიის მრავალი წლის განმავლობაში ჯიუტად გატარებული პოლიტიკა და ტაკტიკა საბოლოოდ სასტიკად განადვურდა

ხოლო უბედურება ის იყო, რომ დამოუკიდებელი-საქართველოს მე-სკეურებმა ცხოვრებისაგან ამდენ სასტიკ დამარცხებათა შემდეგ მაინც ვერ შეიგნეს ერისა და სახელმწიფოს პირველადობა და ერის სახელმწი-ფოებრივი პოლიტიკა კვლავ პარტიულ პოლიტიკასა და ტაკტიკას და-უმორჩილეს, რის შედეგად ეს დამოუკიდებელი ქვეყანა, მრავალ-საუ-კუნი ისტორიულ ნარეკლიანი გზით მავალი საქართველო, ძველ მის მტერს — რუსეთს — ხელში ჩაუგდეს...

ეს ჩვენი განაწამები წარსული ბევრ რამეს გვასწავლის, მაგრამ მთა-ვარი მაინც ერთია: —

ერი და მისი ინტერესები უნდა ბატონობდეს და უნდა ფლობდეს ყველა პარტიულ პოლიტიკურს, პარტიულ სოციალურს, პარტიულ ეკო-ნომიურს, — და საერთოდ ყოველგვარ პარტიულ აზრსა და მოქმედებას, ყოველნაირ პარტიულ დოკტრინაზე და პარტიულ დოგმაზე ერის ინტე-რესები უნდა იყოს უმაღლესი და უწმიდესი; — და რომ მხოლოდ ერს უნდა შეეწიროს ყოველივე.

ვიკ. ნოზაძე

ჩვენი ხაზი

წერილი მეორე

პიროვნული თავისუფლება საზოგადოებრივი უფლების ყალიბით განსაზღვრული.

უფლება ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების დუღაბით შეკრული და განმტკიცებული.

სამართლიანობა თანაბარი მსხვერპლის გაღებით დადგენილი

ამგვარი ლოზუნგებით უნდა გაიჭრას კომუნისტური ტირანის იდეოლოგია, სადაც პიროვნება ნივთის უფლებრე მდგომარეობამდეა დაყვანილი, სადაც საზოგადოება გასაყიდ საბაზრო საქონლის მაგვარად საწყობების უსუფთაო ბინებშია ჩაკრტილი, რომელსაც ნებისყოფა მოკლული აქვს, ენა დადუმებული, აზრი თავის ქალაში შიშით ჩაჭედილი, მოძრაობა პოლიციის გეგმის გარეშე აკრძალული. მხოლოდ ერთად ერთი პითის ორაჟულ ულიანოვისა და ჯუღაშვილის პარტია მეტყველებს, მოძრაობს, აზროვნებს და ბრძანებლობს, როგორც უზენაესი ძალა;;;; როცა ამ საშინელ ბოროტებას ძველი იდეური თამასუქებით ან და ამ იდეოლოგიასთან ახლო მდგომ დოქტრინების საშუალებებით ებრძვიან, ჩვენ გადაჭრით ვამბობთ: — არა! ბრძოლა ხალხისთვის მისაღებ და გასაგებ ნათელი იდეური პრინციპებით უნდა სწარმოებდეს... და ეს პრინციპები საკუთარი კულტურის, ზნე-ჩვეულების და ხასიათის გულიდან უნდა იქნას ამოკრეფილი.

ჩვენი განვითარება, ჩვენი ეროვნული ცხოვრების არსი და აზრი, ჩვენი ლირსება და დაუცხრომელი წყურვილი დამოუკიდებელი არსებობისა ითხოვს საკუთარ ნიადაგზე მკვიდრათ დამაგრებას, გადაჭრილ კულტურულ ძირების გაზრდაზე ზრუნვას, რომელიც ერთად ერთი წყაროა საზოგადოებრივი ტანის სუნთქვისა და სისხლის მოძრაობისათვის. საკუთარ და მხოლოდ საკუთარ ნიადაგზე დაბჯენით უნდა ვიხედებოდეთ წინ, მომავალ ბრძოლების ბინდ-გადაკრულ ცაზე, სადაც გაუტეხელი ნებისყოფით საბოლოო გამარჯვება უნდა გამოიჭედოს... ქართული კულტურის ღირებულებანი საკმაო თავდები არიან როგორც მთე-

ლი რიგი ძირითადი ცვლილებებისმოსახდენად მაგარი სახელმწიფო ორგანიზაცია
რიგი შენობის აგებისათვის, ისე ახალ სოციალურ ვითარების თავისუფლად
ფალი გზის გასახსნელად. ვინც ჯგუფურ თუ კლასობრივ დროშას ყვე-
ლა ღირებულებაზე მაღლა აყენებს, იგი უდიდესი დამარღვეველი ძალა
სახელმწიფო ბრძოლის საქმეში; ვინც პიროვნულ და საზო-
გადო თავისუფლებას ერთმანეთს უპირისპირებს პირველის დასათრგუ-
ნავად, იგი აბლაბუდასავით ეხირება საზოგადოებრივი განვითარების
აზრსა და შინაარსში. პიროვნული თავისუფლება რგოლთა მთელი წე-
ბაა საზოგადოებრივი თავისუფლების. პირველი სხეულებრივ შეკავში-
რებულია მეორესთან და მათი დაცილება ან ერთმანეთთან დაპირისპირე-
ბა უძრის სასუნთქავ აერის ნაწილებად დაშლას და გამოკრეფილ ნაწილ
ბის იმ გვარად შეზავებას, რაც სიცოცხლისათვის დამაზიანებელი და
აუტანელია, მაგრამ მეორეს მხრივ პიროვნულ და საზოგადოებრივ თა-
ვისუფლების ზღვარდაუდებლად აშვება ნიშნავს მთელი განვითარების
უცნაურ აღრევას და შეფერხებას; მაშასადამე, თავისუფლება მტკიცე
წესით უნდა განისაზღვროს უფლება, სახელმწიფო, პიროვნულ და სა-
ზოგადოებრივ ინტერესებით; სამართლიანობა თანაბარი მსხვერპლის
გაღებით უნდა დადგინდეს.

ეს საკითხები არასოდეს არ ითხოვდენ იმდენ გარკვეულობასა და სი-
ნათლეს როგორც დღეს, რაღაც მას არასოდეს არ აყალბებდენ ისე,
როგორც დღევანდელ მოქალაქობრივ ყოფის სულიერ და მორალურ
კრიზისის დროს.

მთელი ის მზა აზროვნება, რაც ათეული წლების მანძილზე შემოქმნ-
ნდათ ჩვენში პოლიტიკურ მოღაწეებს, რაც ხაოთ გადაეკრა ჩვენს ნია-
დაგს და აზროვნებას, ჩვენი პირობებისათვის უაზრო და ფუყე იყო, გა-
რეგულად სიბრჭყვიალით დაზნექილი და ფორმალ ლოლიკის ყალბ წი-
ნანამდლორებში ველურად ჩატარდა მარტინილი. ყველაფერი ეს უნდა აიჭრას და
უარიყოს, სამუშეუმო თაროზე დაიდგას და დაიკეტოს.

რატომ ასე სასტიკად ვებრძვით ძეველი თაობის მოღვაწეობას და მის
იდეოლოგიას? ეს მიტომ, რომ ძეველმა თაობამ, რომელიც მოძრაობას
ხელმძღვანელობდა 30 წლის მანძილზე, რომელიც ამ ხანის განმავლო-
ბაში ვერ გრძნობდა ეროვნულ ჩაგვრას რუსეთის ერის მიერ, რომელიც
მხოლოდ და მხოლოდ კლასობრივ საკითხების სიღრმეში ჩაიჭრა და
ევონა ეროვნული და საერთაშორისო განვითარების ხერხებით ეს იყო,
სწორედ ამიტომ ამ ხალხმა ვერ შესძლო ეროვნულ სახელმწიფოს აგე-
ბაში მთელი სასიცოცხლო ენერგიის მარავი გამოეყენებია. და რომ ვერ
შეძლო, ეს ჩვენ დავინახეთ საშინელი სინამდვილით, უცნაური მარცხით,



უდიდესი მსხვერპლით... ეს იყო ე. წ. მემარცხენე სეკტორი ჩვენი სამართლადა
გადოებრივი დაჯგუფების. მთელი მათი აზროვნების სიახლე მარტინ-
მით განედლებულ გამხმარ ნილილიზმის საფუძვლებს ეყრდნობოდა, რუ-
სეთის აზიურმა ყოფამ მწირ ნალექად რომ მოავდო ჩვენში. ამ სეკტორ-
მა დაფარა ფიზიკურად ქართული სზოგადოებრივი გარემო. ეს გარემო-
ება ნაწილობრივ აისწერა იმითაც, რომ ქართული მემარჯვენე სეკტორი
დასუსტებული და დაშლილი იყო ამ დროს.

ქართული ძალების საუკეთესო წეება მესამოცე წლების მოღვაწეთა
სახით უმთავრესად შავ სამუშაოს შეეწირა, — სხვა ძალები არ იყო რომ
ეს მუშაობა ჩაეტარებინა. ჩაათვალიერეთ მესამოცე წლების მოღვაწეთა
ცხოვრება, როგორ განშტოებულია მათი მუშაობა და საქმიონობა —
პოეტი, მწერალი, რედაკტორი, ფინანსისტი, პრაქტიკული მომუშავე და
იდეური ხელმძღვანელი. ასეთი იყვენ ისინი სათითაოდ. უკელა დარგს
გადაეფარა ეს ხალხი იმ ვებქრთველა ცარიელი აღილების ამოსავსე-
ჲად, რომელიც ჩვენს ეროვნულ სხეულს 1801 წ. კატასტროფით თავს
რომ დაატყდა. მაგრამ მიუხედავად ამგვარი მძიმე მუშაობისა, ამ ხალხმა
მაინც მოახერხა ნილოლიზმის პირველი მოძრაობისათვის გასაქანი არ
მიეცა; მწერლობიდან, პუბლიცისტიკიდან ჩაფოლეს და გაანაპირეს იგი.
ეს იყო ქართული ძალების ერთი მინიჭნელოვანი გამარჯვება მე-19 სა-
უკუნის მეორე ნახევარში; შემდეგ 90 წლებში ხელმეორედ მობრუნდა
ეს ტალღა მესამე დასელების სახით და ამ მობრუნებას საკმარისი წინა-
აღმდეგობა არ შეხვდა.

საგულისხმო ის არის, რომ დასელების მოძრაობას დასაწყისში გა-
რკვეული მიმართულება ჰქონდა და ეს მიმართულება იყო ეროვნული.
ეს ნათლად სხანს გიორგი წერეთლის ერთ კერძო საპროგრამო წერი-
ლიდან. გ. წერეთელი ხომ მესამე დასელების სულიერი მამა იყო.

„ოქვენი წინა წერილის პასუხი მინდოდა მომეწერა პრინციპიალუ-
რად... და ეს პრინციპი პრაკტიკულ ცხოვრებაში როგორ უნდა დავიც-
ვათ... საქმე იმაშია, რომ გერმანიის სოციალისტები მანამდის ძმები არი-
ან ფრანცუზების და მთელი ქვეყნის, სანამდის მათ ეროვნულ პიროვნე-
ბას, მათ ენას, მათ ისტორიას, მათ კულტურას არავინ შეეხება. ჩვენ თუ
ჩვენს დიაგრამულ მდგომარეობას არ მივაქციეთ ყურადღება და ვიყვი-
რეთ საქართველოსა და რუსეთს შუა საზღვარი არ უნდა იყოსო, ქართ-
ველი და რუსი ერთიან, ძალმომრეობაზე დამდგარი რუსები ისარგებ-
ლებენ და გვეტყვიან, როგორც ეხლა კიდეც გვეუბნებიან: თქვენ ადე-
ქით და ციმბირში გადასახლდით, იქ ბევრი ადილებია და ფართედ იც-
ხოვრებთო... რას მიქვია ეროვნება, რა საჭიროა ქართველობა, თქვენც
რუსები, ჩვენც რუსები, მხოლოდ თანასწორად გავინაწილოთ აღილმა-

მულიო: ასე რომ იმ სოციალურ პრინციპს რომ გავტყვეთ, როგორც ჩეკეული მიბრძანებთ, რუსები ჩვენ ადგილმამულს დაგვატოვინებენ და ოვითონ მოიკალათებენ ზედ, პრინციპისამებრ ხმის უმეტესობისა, ჩვენ ოთხმოცი მილიონი ვართ, და თქვენ ორი მილიონი ხართო, ორმა კაცმა ოთხმოცის გადაწყვეტილებას უნდა დაემორჩილოსო... მაშინ რა ვწნათ? ... აი ამის გამო ჩვენ ნუ უშროესებთ სოციალურ პრინციპს, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს სოციალური პრინციპი არ გადაიქცევა ჩვენსავე დასაკლავ დანათ. ჩვენს ბედში მყოფი ხალხი ორივე ხელებით უნდა ვეჭიდებოდეთ ჩვენს ისტორიას, ცხოვრებას, ჩვენს ქართველობას... და ამასთანავე ჩვენს ქვეყანაში გავრცლებდეთ სოციალურ იდეას, რომ წოდებითი და შეძლებითი უთანასწორობა რამენაირად მოვსპოთ. რუსეთთან ძმობის გამოცხადება მანამდე შეუძლებელია, სანამდის მის მთავრობას ბრჭყალებში ვყავართ გამოკლული და რუსის ხალხიც იმას სცდილობს, რომ თავის მთავრობის ძალობნით ჩვენ წაგვართვას უხსოვარ დროიდან ჩვენი კუთვნილი მიწა-წყალი, თბილი ჰაერი და მშვენიერი ბუნება და თევზონ დაიჭიროს ... ამ გარემოების ძალით, ჩვენ უნდა ვიყოთ ნაციონალ-სოციალისტები მანამდის, სანამდის ქვეყანაზე დაჩაგრული ნაციები, როგორც ჩვენა ვართ, არ განთავისუფლდებიან სხვა უფრო ძლიერი ნაციის მონობისაგან. — (არა მგონი გ. წერეთელს დღევანდელი ყაიდის ნაციონალ-სოციალისტება ვინებ დასწამოს. ეს წერილი დაწერილია 4 მარტს, 1894 წ.) — ჩვენ რომ ბოლგარიის ამ გერმანიის, ან იტალიის ან რუსეთის მდგომარეობაში ვიყოთ პოლიტიკურათ, ე. ი. სრული განთავისუფლებული ვიყოთ, მაშინ დიახაც გავშლილით კოსმოპოლიტურ ბაირალს და მთელ ქვეყანას თანასწორ უფლების მქონე ძმებათ ვალიარებდით... მაგრამ დღეს რომ პოლიტიკურ მონობაში ვართ გამოკლული, კოსმოპოლიტური სოციალური პრინციპა ყელში დანას გაგვიყრის და ჩვენს ლეშჩე რუსის ხალხი გაიძლებს მუცელს" (წერილი ეგ. ნინოშვილისადმი).

აქ მოცემულია მესამე დასის მთელი სოციალური და პოლიტიკური პროგრამის ძირითადი დებულებები, ისე როგორც ეს გიორგი წერეთელს ესახებოდა და ეს დებულებები საღ ეროვნულ ნიადაგზეა დაფუძნებული, მაგრამ, სამწუხაროდ, დასელების მოძრაობა ამ გზით არ წავიდა, არამედ კოსმოპოლიტური ხაზით და გამართლდა გ. წერეთლის წინა-სწარმეტყველება, — ამ მოძრაობამ ჩვენ ხალხს ყელში დანა გაუყარა და რუსის ხალხმა ჩვენს ლეშჩე გაიძლო მუცელი...

რომ ჩვენ მემარჯვენე ნაციონალურ სექტორს მთელი თავისი იდეური მუშაობა და პრაკტიკული საქმიანობა გარკვეულ პოლიტიკურ და

ორგანიზაციულ კალაპოტში ჩამოესხა, მაშინ მესამე დასელების შუალედული აბა ას ილლად ვერ განაღდღებოდა. მ გარემოებამ ფრიად დააზარალა ქართული ნაციონალიზმი. იგი ბოლომდე დარჩა დანაწილებული, დაფანტული, შეუკავშირებელი. ჩვენი ნაციონალური ელემენტები ფრთხილობდენ ან და ჯეროვანად ვერ აფასებდენ ორგანიზაციული დარაზმულობის მნიშვნელობას, გარკვეული პროგრამის წამოყენებას, რაღაც ამ პროგრამისთან დაკავშირებული იყო მთავარი პოლიტიკური კითხვა — დამოუკიდებლობა და შიშობდენ რუსეთის მთავრობას ბოროტად არ ესარგებლა ამით.

მთელი ჩვენი უბედურება იმაში იყო, რომ ქართულმა ეროვნულმა შეგნებამ მაგარი ხერხემალი ვერ გაიდგა. ეროვნული ნიადაგის ნატყვიარ ძირებში სასოებითა და გაუტეხელი ცხოველმყოფელობით ვერ ჩაჯდა... და ვერ შესძლო მთელი იმ მუშაობის განაღდება, რაც ასე სჭიროდა ჩვენს ეროვნულ ცხოვრების წარმატებას და მოქალაქეობრივ ყოფას.

ქართული ნაციონალიზმის უდიდესი ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ ქართული ინტერესები და საქმიანობა კავკასიის ჭრელ ეროვნულ ინტერესებს საკმარისად ვერ შეუთავსა, ქართული და კავკასიური ინტერესები ერთმანეთს მჭიდროთ ვერ გადააბა და აქედან გარკვეული სამოქმედო პროგრამა ვერ შეჰქმნა. ეჭვი არაა ამ გარემოებას დიდი სიძნელეები ეღლიდებოდა წინ და უდიდესი სიძნელე ეს თვით რუსეთის საიმპერიო პოლიტიკა იყო, რომლის მთავარი აზრი მუდამ კავკასიონის ერების დაპირისპირება იყო.

მსოფლიო ომის მომყოლ რევოლუციას ქართული საზოგადოებრიობის ვერც ერთი სეკტორი ვერ შეხვდა საქმაო დარაზმულობით შეკრული. ქართული ნაციონალიზმი დონდლო, უხერხემლო და უძლური იყო. მემარცხენე სეკტორი სოც.დემ. მეთაურობით გაუნაღდებელ იდეების მიბჯენილობით თავდავიწყებამდე მისული, რეალი, გარკვეული და მაგარი პოლიტიკისათვის უვარების აღმოჩნდა. ეს გაუნაღდებელი ზანგულა იდეები ქარიშხალივით აბორგებდა მაშინ საქართველოს და მთელ კავკასიონს, — ამას ემატებოდა კავკასიონის ერების დაპირისპირება, რაც უმთავრესად გარეშე სახელმწიფოების აგენტების საშუალებით იყო ჩაწყობილი და ამ მოვლენების მძაფრ დაპირისპირებაში ერთხელ კიდევ გადატყდა ქართული ხმალი.

ამ შემთხვევაში ჩვენ მიზეზები იმდენად არ გვაინტერესებს, რადენად თვით ფაქტი, — ფაქტი კი ასეთია: ქართულმა პოლიტიკურმა აზროვნებამ, როგორც მემარჯვენე ისე მემარცხენემ უდიდესი მარცხი განიცადა. ეს მარცხი დაგვირგვინდა რუსეთის ახალი შემოჭრით და გაბატონებით. წარსულის მაგალითები, დღევანდელი ვითარება და ხვალინ-

დელი დღის სწორი გათვალისწინება კავკასიონის ისტორიისათვეს, რომელშიაც განუკვეთლად შეკავშირებულია საქართველოს ეროვნული ლირისება და სასიცოცხლო ინტერესები, გადაჭრით ითხოვენ საკითხის ახალი კუთხით მიღომას.

უფერული და უზრო კოსმოპოლიტიზმი — არა ნაციონალიზმი შეინიდან შოვინიზმის მდაბალი ზრახებით გაღვიყებული — არა. მაშინას გვეტყვიან მარჯვნიდან და მარცხნიდან? მაგარი ისაა, რომ ეროვნული საკითხი, რომელიც საქართველოსა და კავკასიონის მომავლ ბედის თვის უდიდესი მნიშვნელობის მქონეა და ამავე დროს უაღრესად საუთითი... ითხოვს სრულიად თავისებურ გადაწყვეტას. არ კმარა მხოლოდ ერის თავისუფლების პრინციპის აკვიატება. ეროვნული საკითხი უნდა გადაიქრეს არსებულ გეოპოლიტიკურ არეზე და არა განყენებულ ცნებების დასაბუთებით.

როცა ამბობენ, პატარა ერის ნაციონალიზმი არაა დამპყრობი, იგა თავდაცვის საზღვარს არაოდეს არ სცილდება, ეს ნაწილობრივ სწორია. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ პატარა ერის ნაციონალიზმი დიდი ერის ნაციონალიზმის პოლიტიკას ითვისებს — დამპყრობ საკუთარს ძალას სწორად აფასებს და მყვირალა პრანქიობით ცდილობს უადგილო ალაგას გაფართოვდეს, მაშინ ეს დებულება ირლევე.... დიდ და პატარა ერის ნაციონალიზმი განსხვავების აღნიშვნა შეუძლებელი ხდება. ასეთი მაგალითები საქმაოდ ყოფილია ისტორიაში. ნაციონალიზმს ორი განშტოება დაჲყვა თავიდან, ორი სახე: ერთია დამპყრობი, მეორე თავდაცვითი. და შეიძლება ეს როგორც დიდს ისე პატარა ერსაც ახასიათებდეს. ხშირად არა მარტო პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური ღონება და ხასიათი აძლევენ ნაციონალიზმს ამა თუ იმ მიმართულებას, გეოგრაფიული გარემო და საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე თავდაცვის ინტერესები.... მეტად ძნელია უდავო მიჯნის გავლება ა.ქ. მაგრამ ერთი უდავოა: ჯამბრთელი ნაციონალიზმს გარეშე ეროვნული ცხოვრების განვითარება და აღორძინება შეუძლებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ შენ ყოველგვარი საშუალებებით, ყოველგვარი ლონისძიებით, საჩინა-საბადებელის და სიცოცხლის მსხვერპლად მიტანით იცავ საკუთარ მიწა-წყალს, ენას, კულტურას, ზნე-ჩევეულებას, საჩრდინებლას, სისხლს, საერთოდ განცდილ ბედნიერებას და უბედურებას. ეს ელემენტები აყალიბებენ ეროვნული სხეულის აღნავობას და ერთი რომელიმე ნიშანის დაკარგვა აქედან, ნიშნავს მის დამახინჯებას.

არის შემთხვევა, როცა ერი იმ გვარ გეოპოლიტიკური ფარგალით იხაზება და ისეთ მცირე რიცხობრივ ღდენობას წარმოადგენს, რომ მისი დამოუკიდებელი ცხოვრება არამც თუ საეჭვოა, არამედ შეუძლებელი.

ასეთ შემთხვევის კლასიკურ მაგალითს კავკასიონი წარმოადგენს, სადაც ათი ეროვნული ერთეული სახლობს და მათი უმრავლესობა ამ მაგალითის ზედმიშვნით დამახასიათებელ ნიშანს ატარებს. მათი ინტერესები მჭიდროდ დაკავშირებულია კავკასიონის ყველა ერების ინტერესებთან. ასეთ პირობებში ეროვნული გადაბმა და შეკავშირება არამც თუ სახიფათოა, არამედ აუცილებელი და ეს აუცილებლობა ნაკარნახევია საიცოცხლო და თავდაცვის ინტერესებით. ჩვენ რომ ან საფრანგეთს ან გერმანიის, ან პოლონეთის ან და უკრაინის მდგომარეობაში ვიყოთ გეოგრაფიული ონაგობით და რიცხობრივი ოდენობით, მაშინ კიდევ ზოგი რამ სადაც იქნებოდა, მაგრამ ჩვენ იმგვარ მდგომარეობაში გართ ფაკტიურად, რომ დამოუკიდებელი ცხოვრება და ნორმალური განვითარება შეუძლებელია კავკასიონის გარეშე.. ორში ერთი — ან საქართველომ დიდი სახელმწიფოების კეთილსინდისიერებას და მასთან დადებულ პაკტებს უნდა ენდოს, ან და კავკასიონის ფარგალის მოჭრას ეცადოს მეზობლებთან გულწრფელი ძმობის გამოცხადებით. მესამე ან სხვა რამ გამორიცხულია. არსებულ პირობებიდან. ჩვენ ეს უკანასკნელი მიგვიჩნია რეალურად და გადამწყვეტად. ქართული პოლიტიკა კავკასიონის გარეშე არარობაა. კავკასიონი საქართველოს გარეშე გულგამორთმეული და უხერხემალოა. ასე იყო ისტორიულად, ასეა დღეს და ასე იქნება მომავალშიაც. საკითხის ამ გვარ გადაწყვეტას დიდი სიძნელეები ახლავს. სომხური პრეტენზიები, ბაქოს ნავთის ყოფილი მეპატრონეების ინტერესები, აზერბეიჯანის ეროვნულ ინტერესებად რომ საღდებოდა დღემდე, და კიდევ ბევრი რამ... მაგრამ ამის დაძლევა შესაძლებელია, თუ ამისათვის წინასწარ გაიჭედება მაგარი ნებისყოფა, თუ ამისათვის დახარჯული იქნება ქართული ენერგიის მთელი მარაგი და ყველაფერი ეს გაკეთებული იქნება ჩვენის მხრივ უდიდესი გულწრფელობითა და გულგახსნილობით.... დღევანდელი დღის უდიდეს ამოცანად კავკასიონში ისე როგორც ეს იყო მუდამ ისტორიულად — არის ორგანიული დაკავშირება და გადაბმა ყველა იმ ეროვნულ ერთეულებთან, რომელსაც დღევანდელი კავკასიონის გეოპოლიტიკური ფარგალი ხაზავს. ჩვენ კუყინებთ ამ ხალხებს ასეთ არჩევანს: — კავკასიონის ერებმა გააგრძელონ უნდა ერთმანეთ შორის დავა. თუ ისინი ვალდებული არიან გამონახონ შეთანხმების და ურთიერთი დაცვის საერთო ნიადაგი? მუდმივი შეჯიბრება თუ საერთო თანამშრომლობა, როგორც საერთო სამშობლოს — კავკასიონის — ისე ცალკეულ ეროვნულ ინტერესების გადასარჩენად? ამის გადაწყვეტის საშუალება და უფლება უნდა ჰქონდეს პირდაპირ ხალხს. უკან სახელმწიფოთა ფულით მისყიდულ თუ შოგინისტურ გამამძრობით დამთევრალ მოქადაგეთა ამძრავების გარეშე, და მინდა დავიჯერო, რომ კავკასიონის ერები შეთანხმებისა და ერ-

თად მუშაობის გზას აირჩევენ. რამდენი სისხლიანი მაგალითი, საშინე-
ლი მატური და გულშემზარავი გაკვეთილებია მათ თვალშინ, რომელსუბურ
მოიქცევა? სხვა არჩევანი თვითმკვლელობას უდრის და თვითმკვლელო-
ბას არც ერთი ერი არ ახდენს.

ამგვარად, თუ ჩვენი იდეოლოგიური ხაზი გარკვეულად ემიჯნება
უაზრო კისმოპოლიტიზმს, ასევე გარკვეულად ემიჯნება იგი ფაშიზმაც.

აზროვნების ორი მძღვრი მდინარება დიდი ხანია რაც ევროპას და
აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყნებს აბორგებს, მაგრამ ამ იდეოლოგიისა
და აზროვნების არც ერთი ელემენტი არაოდეს არ იყო ჩვენი ხანგრძლი-
ვი ისტორიის გასწრივ, როგორც დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი
ნიშანი. ჩვენ საკუთარ ისტორიულ ტრადიციებს უნდა დავუბრუნდეთ.
და ეს ტრადიციები მუდამ კავკასიური იყო. ერი, რომელიც თავის გან-
საკუთრებულ ეროვნულ კულტურულ გზას არ მიჰყება, იგი თვითმკვ-
ლელობას ახდენს. ერი, რომელიც სხვისი აზროვნების გადმოღებას და-
იხემებს, იგი განწიროულია, განუკურნავად დაავადმყოფებული.

ზოგიერთებს ჰქონიათ, რომ იდეების გავრცელება და მისი შეთვი-
სება ხდება ისე როგორც ტეხნიკური აღმოჩენებისა და მიღწევების: სი-
თი რამის ჰქმარიტებად აღიარება დღევანდელ პირობებში არის ოთი-
ლესი სიყალბე. ასეთი რამ წინა საუკუნეებში იყო შესაძლებელი, როცა
ეროვნული კულტურისა და აზროვნების ზრდა საკმარისად მომწიო-
სული არ იყო. ამ ყალბი დებულებით ჩვენი ნაციონალისტების ერთი
მცირე ჯგუფი ფაშიზმის იდეოლოგიას ებლაუჭება და ცდილობს აქედან
ქართველ ხალხს იგი ყელზე ჩამოკიდოს, როგორც შელოცვილი ავგა-
როზი. ასეთი ცდა ჩვენ მიგვაჩნია არამც თუ შეცდომად, არამედ დანა-
შაულიად საქართველოს და კავკასიონისთვის, ისე როგორც ძევიად რო-
სული ნილოლიზმის სესხება ან და გერმანული სოციალიზმის გადმოღება
ჩვენს ნახევრად ფეოდალურ ყოფასა და სოციალურ გარემოში.

ფაშიზმი ნაღდი ევროპიული მოვლენაა. მისი ფილოსოფია სოციალ-
ეკონომიურ წინააღმდეგობათა თაძლევის კოსტორი შე-
სუფთა იდეურს, ამიტომ მისი ექსპორტი არამც თუ ძნელია ჩვენს პირო-
ბებში, არამედ საზარალო და მავნებელი. ამიტომ ჩვენ ვერ მივიღებთ
ისეთ იდეოლოგიას და ლოკტრინას, რაც საქართველოს და კავკასიონის
სისცოცხლო მიზნებიდან არ გამოდის, რაც მის მოქალაქეობრივ ყო-
ფასა და სახელმწიფოებრივ ინტერესებს არ უპასუხებს.

ჩვენს ნიაღდაზე ვეებერთელა ნალექია თარო არ არის არ არ არ არ
ყველაფერს როგორც ნატყვიარი: ადამიანს, ხელოვნებას, მწერლობას,
აზროვნებას. ახალმა თაობამ ეს ნალექი უნდა ათხაროს და ნატყვიარი



ქართული და კავკასიური მიწის სილბოთი მოაშუშოს. — ესაა მორგვევა ამოცანა განთავისუფლების შემდეგ.. მანამდე კი მთელი ჩვენი არსებობა, მთელი ჩვენი ჯანმთელი ფიქრი, სულის მოძრაობა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშია ჩათრეული. ბრძოლაში, რომელსაც იქ ჩვენი ხალხი პასიურად, მაგრამ მაინც აწარმოებს. და ამ საშინელი განსაცდელის უამს, ვის ჰყოფნის თავებდობა კიდევ მესავეერ უცხო დოკტრინებისა და იდეების დოლი გამართოს? ვისთვისაა საჭირო ეს უსარგებლო ვარჯიშობა? საქართველოსათვის? — არა, ათასჯერ არა! ჩვენ ისეთ პირობებში ვართ დღეს, რომ ნაკლები ლაპარაკია საჭირო და მეტი მოქმედება, ნაკლები ლაყბობა და მეტი საქმე! ვისაც ეს უკანასკნელი არ შეუძლია, მან პირველზე თავი უნდა შეიკავოს, რომ ამ გაჩალებულ ბრძოლაში ტყვიის მაგივრად ბამბა არ ისროლოს, რომ მომავალი თაობის მეხსიერებაში არ დარჩეს შესაჩვენი და საზიზღარი, რომ პატიოსანი მოქალაქის სახელი შერჩეს.

კარგად უნდა ჩაუკვიდრეს ყოველი ქართველი ამ მძიმე მდგომარეობას, აქ თუ იქ, გადმოხვეწილობასა თუ საქართველოში. ვიცი ძნელია და თითქმის შეუძლებელია გარემოებათა ამ სილრმეში დაკვირვებული თვალით ჩახედვა ძველი თაობის უმრავლესობისათვის, ვისაც ომმა, რევოლუციამ, ჩვენი ქვეყნის აღდგენამ და ხელმეორედ დაპყრობამ თავზე ჩამოახია ამ ხალხს იდეურ ლირებულებათა მთელი საყადელი. რუსული ბატონობის დროს მიღებული აღზრდა და ის ტრადიციული უტრადიციობა, რითაც ასე მკეთრად ხასიათდებოდა და ხასიათდება მთელი მათი შინაგანი ბუნება.

მომავალი ბრძოლების მოწინავე რიგები ახალ თაობის დაუშრეტელმა ენერგიამ უნდა აღაესოს. სხვა გარაუდი ამოცანას ვერ გადასწყვეტს. ახალმა თაობამ ანთებული თვალებითა და გულ-გამეხებით, ამაზე უნდა იფიქროს და ამაზე იმუშაოს.

ი. მანწყავა

1934 წ. პარიზი.

၇၀၆ ვიხედოთ

რაც იყო წარსულს ეკუთვნის. წინ მხოლოდ უნდა ვიხედოთ დღეს. ყოველ მხრივ უნდა ვსინჯავდეთ ჩვენს განსაკუთრებულ მდგომარეობას, როცა მომავალის გავგმაზე ვფიქრობთ, როცა ბრძოლის გარკვეულ ხაზს ვამუშავებთ.

არ ახსოვს არც ერთი ერის ისტორიას, რომ მისი ცხოვრება ერთ წერტილზე გაყინულიყოს; წარსულ შეცოომებზე ახალი გზები არ მოენახოს თავისი ლირსებისა და საკუთარი ვინაობის დასაცავად და გადასარჩნად. ასე ირაზმებოდა მუდამ და ირაზმება დღეს ყველა დაჩაგრული ერი.

ჩვენ კი ქართველებს რაღაც უცნაური ჩვეულება დაგვჩემდა; ვიღაც გადამთილის ნათქვამს თუ ნაწერს ერთხელ თუ ჩავაცივდით, ველარა ვსცილდებით. სწორია იგი თუ მრუდე, მას ჰეშმარიტებად ვლალადებთ; ვცდილობთ მტერი თუ მოყვარე დაკიდულ ხიდზე გავატაროთ; თუ რომელიმე ქართველმა ადამიანმა სწორი გზა მონახა, მეორე და მესამე ბილიკების საძებრად გარბის; თუ რომელიმემ ძლიერი აზროვნება შეჰქმნა ერის საკეთილდღეოდ, მისი შეთვისება გვიჭირს, სათაკილოდ მიგაჩნია და გაყინულ წერტილზე ვრჩებით.

დღევანდელი მძიმე მდგომარეობაშიაც კი ვერ მოგვიხერხებია ერთ-მანეთთან დაახლოება და შეკავშირება. ნამდვილი საქმე დაიგიწყი უმრავლესობაშ. ნუ თუ ქართული საქმის დაცვაა ის, რასაც ემიგრანტული საქმიანობა და აქაური გამოცემები წარმოადგენს? სადაც პირადმა ლან-ძლვამ და ცილისწამების ჭუჭუმა ასე მაგრად მოიკიდა ფეხი?

ემიგრაციის მიზანი კი ერთად ერთი იყო თავიდანვე: — ქართული პოლიტიკისა და კულტურის პროპაგანდა უცხოეთში, ერთმანეთის დახმარება და პატრიონობა, უცნაურ გაჭირვებაში მყოფ ჩვენი ხალხის გამხევება და სულიერად მასთან ყოფნა.

ეს წმიდა მოვალეობა დაივიწყა ძველმა თაობამ და მისი მსხვერი საქართველოს კულტურული განვითარების მთელი ჩვენი საქმიანობა....

დღეს ახალი თაობა თვითონ იკაფავს გზას. უფროსების მიერ მოჩე-ჩებული თეორიები და ჩვენს თავზე დატეხილი სამი თაობა, 1921 წლის საქართველოს კატასტროფა და ამ კატასტროფით გამოწვეული უდი-დესი ეროვნული უბედურება, რომელსაც ჩვენი ხალხი დღესაც განიც-დის, — ყველაფერმა ამან ჩვენ ბევრ რამეში გაგვარკვია და თვალები ავითხილა. ეს ძვრა მეტად საყურადღებო მნიშვნელობის არის. ერთი პირი და მტკიცე ნებისყოფაა საჭირო მის დასაგვირგვინებლად.

გრიგოლ მიროტაძე

პრეზული

ორნატი

გამოდის ორთვეში ერთჯერ

შემდეგი კრებული გამოიცემა ამა წლის აგვისტოში

რედაკტორი — კოლეგია.

ფული და მასალები შემდეგი მისამართით უნდა გადმოიგზავნოს: —

M^r AKAKI CHAVGOULIDZE

50, Rue Vauthier, Boulogne-sur-Seine, France.